15 აპრილი, 1930 წელი. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ

№ 7 (31)

# დროშა



საბჭოთა აღმშენებლობა ინდუსტრიალიზაციის გზით

ფოტ. შ. ფურცხვანიძის

# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა



კომუნისტურ პარტიის ბელადების დაპატიმრება ვაშინგტონში.




## რუმინეთის საკანებში

რუმინეთის საშინელ სატუსაღოებს შორის ტირგიოკნა ყველაზე უსაშინელესია. ვინც იქ შედის, ის ცოცხლათ დამარხულია, ველარასოდეს ველარ იხილავს დღის სინათლეს. ტუსაღებს მარილის მაღაროებში ამუშავებენ, სადაც მრავალი მათგანი ბრმავდება. მუშაობის დროს აკრძალულია ლაპარაკი, საჭმელ-სასმელისთვის სახელმწიფო დღეში თვითეულ ტუსაღზე 6-8 ლეის იძლევა (დაახლოებით 10 კაპ.) რუმინეთის მთავრობა გამოტყდა, რომ აქ პოლიტიკური ტუსაღები ჰყავს მოთავსებული. სურათზე: სატუსაღოში შესვლისას მუშაობიდან დაბრუნებულ ტუსაღებს სჩხრეკენ.



ბერლინის ბირჟაზე შიმშილით მოკვდა უმუშევარი. მიუხედავად აკრძალვისა, მუშებმა გამართეს დემონსტრაცია და რევოლიუციონური სიმღერებით მიცვალებულის კუბო შემოატარეს მუშათა რაიონებში, სადაც დემონსტრანტებს თავს ესხმოდენ პოლიციელები. სურათზე: საბარგო მატარებლით პოლიციელები თავს ესხმიან დემონსტრანტებს.

## კულტურული მეთოდები თავისუფლების მოყვარულ ამერიკაში



ამ რამდენიმე კვირის წინად განდის მეთაურობით ინდოეთში დაიწყო დიდი სამოქალაქო მოძრაობა. ინდოეთის მოქალაქეებმა [illegible] გადასახადზე უარი განაცხადეს და ინგლისელების სავაჭრო საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს. სურათზე: განდის მომხრეების დაპატიმრება ინგლისის პოლიციის მიერ.



ნიუ-იორკში მუშათა გაფიცვის დროს, კომპარტიის წევრს სტევა კატოვისს პოლიციამ იმდენად დაუნდობლად სცემა, რომ იგი გარდაიცვალა. ამის საპროტესტოდ მუშებმა დემონსტრაცია მოაწყვეს. სურათზე: ნიუიორკის პოლიცია დემონსტრანტებს რეზინის მათრახებით ჰფანტავს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

დ-76.

145.



ვ. ი. ლენინი-ბავში—დაბადებიდან სამოცი წლის შესრულების გამო.



**პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე ვირსალაძე**

სახ. უნივერსიტეტის სამოსპიტალო ტერაპევტიული კლინიკის კათედრის პროფესორი, ტერაპევტიულ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორი და ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის კონსულტანტი, მოულოდნელად, გულის სიდამბლით გარდაიცვალა 30 მარტს, დილის 7 საათზე.

## აკადემიკოსი დ. რიაზანოვი

### მის მიერ დაარსებული მარქს-ენგელსის ინსტიტუტი მოსკოვში



მარქს-ენგელსის ინსტიტუტის დირექტორს, გამოჩენილ მარქსისტს აკად. რიაზანოვს მოსკოვში, 10 მარტს, 1930 წ. ზეიმი გადაუხადეს დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო. იგი დამაარსებელია მარქს-ენგელსის ინსტიტუტის. მას ეკუთვნის 9 ტომი მეცნიერული ნაშრომი, განსაკუთრებით მარქს-ენგელსის მოძღვრების გამოკვლევის და პროლეტარიატის მოძრაობის შესახებ.

# სასოფლო-სამეურნეო არტელი

1.

გავცილდით ხარფუხსა და ტყავ-ტრესტის ქარხნებს. ცოტა მარცხნივ შევუხვიეთ და გავედით პატარა ხის ხიდზე. მე და ჩემი მეგობარი ცოტა ხნით აქ შევჩერდით, ერთი თავისუფლად ამოვისუნთქეთ და ცნობისმოყვარეობით გავხედეთ წინ გაშლილ ფართობს.

საუცხოვო სანახაობაა:

დაბლობში გაშენებულია ალუჩებისა და ტყემლების ტყე, ძირს, მწვანე ხავერდივით გადაფენილია ბოსტნეული მცენარეები. ტყის სიღრმეში მიმოფანტულია საცხოვრებელი პატარა სახლები. ქუჩები ვიწროა. ზოგან, ხილის ხეების ხეივანში ბილიკები მიიკლაკნება. ჩვენც არ დავაგვიანეთ, დავიძარით ადგილიდან და ვიწრო ქუჩებით შევიჭერით ალუჩებისა და ბოსტნეულის ქვეყანაში.

აპრილის კრიალა ცისა და მზის ქვეშ ღიმილივით მოსჩანს გარემო. ხეხილის ახლად აშლილი ყვავილები და ტოტები თეთრ ბოლქვებივით დგანან და მტკვრის დაქანებიდან წამოსულ ნიავით, ზღვის მოლივლივე რეიდზე მოძრავ თეთრ იალქნიან ხომალდივით ირხევიან.

ნელი ნაბიჯით მივყვებით ქუჩებს. აქა-იქ ბაღის ნაწილებში, მუშები ჯგუფ-ჯგუფად მუშაობენ, ასუფთავებენ ნიადაგს და თესავენ ბოსტნეულ მცენარეებს. ზოგან ხილის ხეებს სხლავენ და ამშვენიერებენ. ნათესი კვალები ერთმანეთს რიგ-რიგად მისდევს და გაფენილ ხალიჩების შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ არსად მანქანების რიტმიული გრგვინვა, მხოლოდ მეურნეობას არღვევს მომუშავე ადამიანთა დაბალი ხმა.

ზოგან ქუჩებში, ნეხვის დიდრონი გროვებია, საშინელი მყრალი სუნია, მაგრამ იგი მაინც ამ მხარისათვის ძვირფასია, როგორც ნიადაგის ერთ-ერთი გამანოყიერებელი მასალა. ჩვენ გულმოდგინედ ვათვალიერებთ ყოველივეს აქ და ბუნებისა და შრომის ნაყოფის სამშვენიეროდ აღტყინებულნი, ვაგრძელებთ გზას.

ეს ალუჩებისა და ტყემლების ტყე, ბოსტნეულ მცენარეულობით, მწვანე ხავერდოვანი მიწა, არის ცნობილი ორთაჭალის ბაღი, ამჟამად ორთაჭალის სასოფლო-სამეურნეო არტელი.

2.

ხის მოძველებულ კიბით, ნელი ნაბიჯით ავდივართ მეორე სართულზე. განიერი აივანი სამიოდე ოთახის შესავალს აერთიანებს. კიბის პირდაპირ, მინებიანი კარებია, რომელზედაც გაკრულია, თეთრი კარდონის დაფა, წარწერით:

ამხ. ფ. მახარაძის სახელობის ორთაჭალის

**სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობა**

ჩვენც პირდაპირ ამ კარებში შევდივართ. ოთახში ერთი მოანგარიშე და რამდენიმე მიწის მუშა გვხვდება. სალამის მიცემის შემდეგ, არტელის გამგეობის თავმჯდომარეს ვკითხულობთ. ის, იმხანად, იქ არ აღმოჩნდა.

— დაუცადეთ, მალე მოვა,—ამბობს მოანგარიშე და თან რაღაც საქმის ქაღალდებს ათვალიერებს. ჩვენც იქვე გრძელ ხის სკამზე ჩამოვჯდექით.

განიერი ოთახი ფანჯრებიდან შემოჭრილ ცის შუქით საგრძნობლად განათებულია. ერთ კუთხეში შეჯგუფული მუშები დაბალი ხმით საუბრობენ. დროგამოშვებით მოანგარიშეც აჩხარუნებს საანგარიშო „ჩოთქის" რგოლებს. კედლებზე გაკრულია ბოლშევიკ ბელადების ოთხიოდე პორტრეტი და ჩვენი სამეურნეო ცხოვრებიდან ამოღებული რამდენიმე პლაკატი. მე და ჩემი მეგობარი მშვიდათ ვზივართ და ვათვალიერებთ ოთახს. ლოდინში საგრძნობლად დრო გადის.

— დაიგვიანა, ალბად ჯერ ვერ მოვა ჩვენი გამგეობის თავმჯდომარე,—ამბობს მოანგარიშე და სკამზე მშვიდათ ირხევა.

— მაშ რა ვქნათ!

— რამდენადაც შემეძლება, მე გაგაცნობთ არტელის მდგომარეობას.

— რასაკვირველია, ჩვენ გაგაცნობთ,—ამბობენ მუშებიც.

— სასურველია, კარგია, რომ მუშებიც აქ არიან. ალბათ მათგან უფრო მეტი დაეჯერებათ,—სიცილით ვამბობ მე და სკამით მოანგარიშეს მაგიდას მივუახლოვდი. რამდენიმე წუთის შემდეგ საქმიანმა საუბარმა დაიპყრო ყველას ყურადღება და ასეთივე შენიშვნებმა ააფერადა ჩემი პატარა ბლოკნოტი.

3.

ორთაჭალა ცნობილი იყო და არის, თბილისის, როგორც ბაღ-ბოსტნებით მდიდარი კუთხე. ეს ნოყიერი ნიადაგი, მტკვრის შლამით და ლეშით დაჯილდოვებული, ეკუთვნოდა რამდენიმე მემამულეს, ისინი დაქირავებული შრომით პატრონობდენ მიწას და მასზედ აწარმოებდენ ბოსტნეულსა და ხილის ხეებს. ორთაჭალის სილამაზე, თავისი სიმდიდრით, მათი სასიამოვნო იყო. მწიფე ხილისა და მწვანილეულობის სურნელება ტრიალებდა იმათ კარმიდამოში. წლის ყოველ დროში, მომეტებულად ზაფხულსა და შემოდგომაზე, ალიონიდან, თბილისელი მემწვანილე ვაჭრები, ან მემწვანილე კინტოები, ვირებითა და ტაჩკებით მიადგებოდნენ კარზე ორთაჭალის მემამულეებს და ბაღ-ბოსტნეულობით დატვირთულნი, უბრუნდებოდენ თბილისს. შემდეგ, გაჭიანურებული ხმით, ქუჩებიდან ქუჩებში დაძრწოდენ ეს მოხეტიალენი და მაცდურ სიტყვათა კორიანტელში, ასაღებდენ ორთაჭალის პროდუქტს. ეს ხალხი და თვით ბაღში მომუშავენი, ორიოდე გროშის ამარა რჩებოდნენ, მხოლოდ ბაღის მესაკუთრენი სიმდიდრით ივსებოდნენ.

ასე იყო წარსულში.

გასაბჭოების შემდეგ ეს ბაღები მემამულეებს ჩამოართვეს და თბილისის აღმასკომმა ჩაიბარა. აღმასკომი ბაღის განსაზღვრულ ნაწილს იჯარით იძლეოდა. მოიჯარადრენიც პირადათ სარგებლობენ ბაღის შემოსავლით. განსაზღვრულ დროის განმავლობაში ბაღი მათი საკუთრება იყო, იმათ უფლება ჰქონდათ, მოქმედ კანონმდებლობის ფარგლებში, დაქირავებული შრომა გამოეყენებიათ. ბოსტნეულობასა და ხილს აძლევდნენ როგორც კერძო ვაჭრებს, ისე სოფლის მეურნეობის. რაც შეეხება, ამ ფორმით აქ არსებობდა წვრილი გლეხური მეურნეობა. მოიჯარადრე თავისი ჯგუფით ამუშავებდა მიწას და თავისი სურვი-

ლისამებრ სარგებლობდა ბაღს. უკანასკნელ ხანებში, კოლმეურნეობათა მოძრაობასთან დაკავშირებით, ორთაჭალის მეურნეობაშიც მოხდა ძირითადი გარდატეხა. გასული წლის ნოემბერში, თბილისის აღმასკომის ხელმძღვანელობით, ორთაჭალა გადავიდა მთლიან სასოფლო-სამეურნეო არტელზე.

4.

არტელის ტერიტორია 120 ჰექტარი მიწით განისაზღვრება. აქედან 80 ჰექტარი სამუშაო მიწაა, დანარჩენი გამოუყენებელი მაღლობებია. არტელის განკარგულებაში შედის თვით ორთაჭალა და კრწანისის ქვედა მხარე.

ბაღებთან ერთად ს მეურნეო ინვენტარი და ცოცხალი საქონელიც განსაზოგადოებულია. რაც შეეხება უკანასკნელს, იგი შეფასებულია და შენახვისათვის დროებით მოთავსებულია თბილისის აღმასკომში. ინდივიდუალური მეურნეობის დროს, ყოფილ მოიჯარადრეს ჰყავდა მეწველი ძროხები, რომელთა ბაღში დარჩენა ამ სახით მოუხერხებელია. ამიტომ განზრახულია, ამ ახლო დროში, ბაღების მახლობლად გაშენებული იქნეს ძროხების ფერმა.

მიწას ამუშავებენ პრიმიტიულად. სამეურნეო იარაღებიდან, აქ უმთავრესად გამოყენებაშია თოხები და ბარები. როცა ამის შესახებ აქ მდგომ მუშებს ვეკითხები:

— რატომ უფრო კარგ სამუშაო იარაღებზე არ გადადიხართ? — ისინი მეუბნებიან:

— ბაღები აქ უვარგისია. მაგალითად ტრაქტორს ჩვენ ვერ ვიყენებთ, ვერც კულტივატორებს, ამისთვის ფართო, გაშლილი მინდვრებია საჭირო. ჩვენ საქმე გვაქვს ვიწრო საბოსტნე კვალებთან და ხილის ხეებთან, ამიტომ მძიმე სამეურნეო იარაღები ჩვენთვის ზედმეტი ხდება.— მართლები არიან მუშები:— მძიმე იარაღები მათ არ გამოადგებათ, მაგრამ არის ისეთი გაუმჯობესებული მსუბუქი იარაღებიც, რომელთა გამოყენება ბაღებში შეიძლება. მაგრამ ამათ ესენი ვერ იცნობენ. ალბად, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ აქ დილიდან საღამომდე არის მუშაობა, ისე როგორც გლეხურ წვრილ მეურნეობაში. ამ პრიმიტიულ იარაღებით, რასაკვირველია, ძნელია სამუშაო დროის შემცირება და შრომის ნაყოფიერების გადიდება.

— აი, მე დაქირავებული ვარ,— ამბობს მოანგარიშე.— მაგრამ ამ მდგომარეობის გამო, მიუხედავად რვა საათისა, დღეში ათს-თორმეტს საათს ვმუშაობ.

— მერე, ეს ხომ გულს არ გიტეხთ?

— არა, არტელი ჯერ ახალგაზრდაა. ალბად მომავალში წარმატებების მიხედვით, შევეცდებით მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ფორმაზე გადასვლას, რაც უთუოდ შეგვიმცირებს სამუშაო დროს.

5.

არტელის წევრებს ჰყავთ ორი აგრონომი, რომელთა მითითებითა და დახმარებით მუშაობენ ისინი. სხვა, კვალიფიციური ტეხნიკური მომუშავენი აქ არ არიან.

რწყვისათვის გამოყენებაშია შვიდი მოტორის სარწყავი მანქანა და ორი ხის ჩარხი. ამ მხრივ ორთაჭალა უზრუნველყოფილია. ზაფხულის ვერავითარი გვალვა ბაღებს ზიანს ვერ მიაყენებს.

აქ უმთავრესად მოჰყავთ ყოველგვარი მწვანილეულობა და ხილი. მოსავალს აწვდიან სოფლის მეურნეს, რომელიც თავის მხრივ აკმაყოფილებს მუშკოოპსა და ზაკტპოს. მოსავალის ნაწილი გააქვთ სომხეთშიც.

ზაფხულობით, როცა ბაღის სათუთი მცენარეები გაზრდილ შრომას მოითხოვს, არტელს შეუძლია დაიქირაოს მუშა ხელი, საკმაო რიცხვით. ამ პერიოდში ქალებისა და ბავშვების შრომაც გამოყენებაშია.

რაც შეეხება წევრების დაკმაყოფილებას, მდგომარეობს შემდეგში:— მათ წლის განმავლობაში ხელფასის სახით ეძლევათ ავანსი, როგორც ფულად ისე ნატურით. წლის ბოლოს კი მთლიანად უსწორდებათ ხელფასის ანგარიში. მათი უმრავლესობა დაზღვეულია და საექიმო დახმარებას ღებულობენ საერთო დაზღვევის წესების ფარგლებში.

კულტურული მუშაობაც არ არის მივიწყებული. არტელის თითქმის ყოველი წევრი იწერს და კითხულობს სხვადასხვა ზოგად პოპულიარულ გაზეთებს, უფრო მცირედი რიცხვი ჟურნალებსა და წიგნებს.

არტელი იშენებს საკუთარ კლუბს, სადაც სათეატრო მუშაობასთან ერთად, ჩამოყალიბებული იქნება სხვადასხვაგვარი კულტურული და გასართობი წრეები.

განათების მხრივ—დღემდე აქ ერთი ელნათურაც არ არის. ეხლა კი ამ მხრივ სათანადო ზომებია მიღებული. სწარმოებს მუშაობა. გაყვანილია ელდენის საჰაერო ხაზები, როგორც ქუჩებში, ისე ბინებშიც. ამიტომ უახლოეს დროში აქაც უნდა ველოდეთ თბილისისებურ განათებას.

არტელს ყავს თავისი გამგეობა, რომელშიც უმთავრესად ყოფილი მოჯამაგირეები შედიან. თვით გამგეობის თავმჯდომარე ყოფილი მოჯამაგირეა.

6.

ღამის ოთხი საათი იქნება, როცა არტელის გამგეობიდან გამოვდივართ. გარეთ აივნიდან ერთხელ კიდევ ხალისიანად ვუყურებთ ორთაჭალის მიდამოს და ასეთივე გრძნობით ჩამოვდივართ ქვევით. მივყვებით ვიწრო ქუჩებს და ცნობის მოყვარეობით ვათვალიერებთ ბაღის კვადრატებს. ბაღებში ისევ ის ჯგუფური მუშაობაა. ყოველ ხეს, ყოველ ნათეს კვალს ატყვია გამოცდილი ხელი. ვათვალიერებთ ყოველივეს ირგვლივ და მე მიპყრობს ერთი ფიქრი:

დღეს აქ დაიწყო ახალი ცხოვრება, ცხოვრება არტელის. ჩვენც მოვდივარ აქ, რომ ვისწავლოთ იგი და რომ მივიტანოთ მასში რამე.

ჩვენი მოვალეობაა:— ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ და გავზარდოთ ჩვენი ცხოვრების ეს პირველი ყლორტები, რომ მისი დაჯგუფებით გადავიდეთ უფრო დიდ სიმაღლეებზე, რომელსაც კომუნები ეწოდება.

გიორგი კაჭახიძე.

# საბჭოთა აღმშენებლობა



რიონჰესის მშენებლობის მეორე ნაწილის მთავარი არ

# შურისძიება

### 1

— დედა! დედა!—დაჭყივლა პატარა ოლეგი, როცა დედა დაეცა მდინარე ლენას ნაპირზე საიდგანღაც გამოსროლილ ტყვიით დაჭრილი.

საშინელი ტანჯვა, სისხლიდანცლა, სიკვდილთან ბრძოლა...

— შვილო, ოლეგ..., რა გაიზრდები... შურისძიება... შვი...ლ...ო...—ძლივს-ღა წაილუღლუღა მან, გულში ჩაიხუტა ბავში, უნდოდა ეკოცნა, მაგრამ სუსტი ტუჩებზე შეაკვდა, თვალები გადაეტრიალა, სული დალია.

საშინლად ციოდა...

ტუნდრის მოხეტიალე ქარი სუსხით სცემდა ყინულოვან ოკეანის მხრით.

ციმბირის მშრალი ყინვა ჯერ მაინც ლხვებოდა ნაადრევ გაზაფხულის მოახლოვებით.

ოლეგი ხედავდა დედის მკერდით გადმონადენი სისხლი თოვლს წითელ ზოლად ვით ებუზმენტებოდა...

ის იდგა მარტო, ხედავდა: დედა აღარ იძროდა და, თვალის ქუთუთოებზე ცრემლები მძიმედ გადმოუცვიდა.

— დედა! დედა! რად?! ხმა გამე!...—მოსთქვამდა გულამომჯდარი და ეხვეოდა, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე....

და მხოლოდ ხანდახან შერხეული ხეებით დანაცემი თოვლის ქულები თუ დაეცემოდენ ოლეგს ცივი პასუხით...

ამ დროს კი, შორი-ახლოს, ხეებს ამოფარებული ჟანდარმთა ოფიცერი იღიმებოდა, პაპიროსის წევით.

მასთან მყოფი ორი ხელქვეითი ერთმანეთის ეცილებოდენ არყის ბოთლს...

— მოდი ბარემ და იმ ლეკვსაც მივაყოლებ ზედ, თქვენო აღმატებულებავ!—გამოეჭიმა ერთი მათგანი ოფიცერს და თოფი მოიმარჯვა ოლეგზე.

— ვირო, არ უნდა... შენდამი, ეგეც რომ მოკლა, მერე ვილა იმუშავებს?! დიე გაიზარდოს და მამის მაგიერ ჩაძვრეს მაღაროში, იხურელო!—მიუგო ოფიცერმა.

### 2

— როდის მოხდა??

— 1912 წ. 4 (17) აპრილს.

— სად?

— ბოდაიბოში. ლენას ნაპირზე, ოქროს მაღნების მიდამოებში.

ამ დღის თითი სისხლის ღვარა იყო...

მაშინ საშინელ გაჭირვებას განიცდიდენ მუშები იქაც: ბევრი მუშაობა, მცირე ხელფასი, და...

მოთმინების ფიალა აღივსო...

რამდენიმე ამორჩეული კაცი წავიდა მუშებიდან მაღნების მეპატრონეთა კომპანიის მმართველობასთან მოსალაპარაკებლად, ცხოვრების გაუმჯობესებაზე...

ამ კომპანიის წევრი იყო თვით მეფეც...

ამორჩეული ხალხი დაპატიმრებულ იქნა მუშათა ლელვა აღელდა....

ამ მიყრუებულ მხარეში ათასვერსზე მოებარი ქალაქ ირკუტსკიდან გამოწვეულ იქნა ჯარი ჯალათ როტმისტრ ტერეშჩენკოს მეთაურობით.

და, რა მუშები შეიკრიბენ, გაუდგენ გზას, რომელიც ტყეში გადიოდა, კომპანიის ანგარიშისკენ, რათა მოეთხოვათ დაპატიმრებულ ამხანაგების განთავისუფლება და პირობების გაუმჯობესება, გაისმა:

— ცეცხლი! დაშენით! თავ!!!

იგრიალა ასეულმა თოფმა. ასტყდა საშინელი ხმაური, ყვირილი, კვნესა... ტყვიები გამწარებულ ფეტვრებივით ზუზუნებდნენ...

მიუხედავად იმისა, რომ მშვიდად მიდიოდნენ მუშები, მაინც ჩასაფრებოდა ჯარი...

ესროლეს...

მუშათა სულა შედგა...

არ ელოდენ ასეთ მუხანათურ ამბავს, რადგან ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ მეფე სისხლიდილით არ გაიმეტებდა მათ, მიუხედავად იმისა, რომ უფრო შეგნებული მუშები, რევოლიუციის ცეცხლით ანთებულ სიტყვებს ისროდენ:

— მხოლოდ ბრძოლა, თუ გინდა თავისუფლება!

250 მოკლული, 270 დაჭრილი.—აი ამ დღის სურათი...

და უიარაღო მუშები ცეცხლში...

შეიძრა იქაურობა, გამოცვივდენ შინ დარჩენილი ცოლები, ბავშები და რა გრუნიაც აიღეს მათ, რომლის ქმარიც წასულ მუშებში იყო, მოკლული ბილიკით გაიქცა იქით, საიდანაც სროლა მოისმა.

მას თან მიჰყავდა ხელდაჭერილი, ერთად ერთი შვილი—ოლეგი.

აი სად ესროლეს...

ოლეგი იდგა მოკლულ დედასთან, ბევრჯერ სცადა აეწია, მაგრამ ამის ღონე არ შესწევდა.

— მაცადთ, ჯალათებო, ჯერ გავიზარდო!!! —ვაიმე ეს სიტყვები ესროლა პატარა მუშტი რომ მოუქნია მოხარხარე ოფიცერს.

### 3

მუშები 250 კუბოს რომ მისდევდენ და მათ შორის დაჭრილი ქალები, დაობლებული შვილები, მათში ოლეგიც იყო ორ კუბოს უკან.

მისი პატარა გული სწუხდა, მაგრამ ინთიბოდა რაღაც გამოურკვეველ შურისძიების ცეცხლად.

ზოგს დედა მაინც დარჩა, ზოგს დაჭრილი მამა, ძმა, და, მაგრამ ეს კი სრულიად მარტო, —უპატრონო, არავინ ყავდა მოალერსე...

— საყვარელო დედა, მამა... მე ჯალათები თქვენს მკვლელებს!—გაისმა მისი ხმა მშობლების საფლავზე რა ხალხმა უკვე დაშლა იწყო სასაფლაოდან.

რამოდენიმე დროს შემდეგ ბევრი ეძებს ის მიზობლიმა, რომ პური მაინც ეჭმიათ, მაგრამ აღარსად სჩანდა, სადღაც დაიკარგა....

— წავალ, ჩიტუნა დიდია: ალბათ მეც გიპოვი ერთ კუნჭულს, რომ თავი შევაფარო, ერთი ლუკმა პური ვიშოვნო და როცა ავევზრდები, მაშინ კი!..

ფიქრობდა ერთი პატარა ბიჭი, რომელიც იცნობდა ტუნდრას, ტაიგას და რა დიდი ქალაქისაკენ მიმავალ გზას დაადგა, გასწია....

ეს იყო ობოლი ოლეგი, რომელსაც გული აღარ დაუდგა ლენის სანაპიროზე.

დიდხანს იარა...

შიმშილი...

სიტიტვლე...

სიცივე...

გაჭირვება...

ერთხელ მგლიებმა კინაღამ დაგლიჯეს, ხეზე ასვლა რომ არ მოესწრო რა გზად დაუღამდა...

### 4

— ახალი დეპეშა!—იყვირა ვიღაცა ბიჭმა და სიხარულით აფრიალა ქაღალდების დასტა.

— რა მოხდა?!

— რა ამბავია?!

გაისმა აქეთ-იქიდან.

— რა და, აი, წაიკითხეთ... ჩამოაგდეს!!

— ვინა?!

ხალხი შეჩოჩქოლდა.

კვირა დღეა...

სადგური გაჭედილია ხალხით.

მატარებლის მოლოდინი...

აქვე არიან ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული პოლიტიკური გადმოსახლებულნიც; ბაზარზე ზოგს რა უყიდია, ზოგს რა...

მათი სახე ნათლდება...

— დაინგრა ტახტი?

— ბოლო მოეღო ჯალათ მეფეს?!

— მაშ ისევ ჩვენ ჩვენს მხარეში?!

აი რაა მათი თქმა.

— დიაღ, უქმად არ ჩაუვლია ლენის ამბებს! —ჩაერია რკინის გზის მუშა, რომელიც მაშინ ლენაზე მუშაობდა, იქ მიღებულ ჭრილობით ეხლაც კოჭლობდა.

— რაო?!—დაუღრიალა ჟანდარმმა, რა ბაქანზე გამოვიდა და მოლიმარე ბიჭმა თითქმის ცხვირთან დეპეშის მიტანით უთხრა:

— მთავრობამე გარდაიცვალა!

— მაწანწალა! ჯიბგირო!.. აქვე დაგხვრეტ! როგორ ბედავ?!—ღრიალებდა ჟანდარმი, მერე სახელად ფიდკა კრუჩოკი.

ეს იყო 1917 წ. თებერვლის მიწურულს...

### 5

თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება მალავდა ამ ამბავს, მაგრამ მუშებს რა გამოეპარებოდათ! პოლიტგადმოსახლებულთ მეტი რის ლოდინი ჰქონდათ? ტუსაღზე ადრე ვინ გაიგებს?!

და აკი ადგილობრივ ციხეზე გადმოკიდეს წითელი დროშა.

მარსელიეზა სძრავდა ჰაერს...

საიდუმლო სტამბამ დეპეშა მოფინა ციმბირის მიყრუებულ კუთხეებსაც კი...

მხოლოდ ჟანდარმ კრუჩკოვს ვერ დაეჯერა ეს ამბავი:

— როგორ? მეფე და ძირს?!

ახა, როგორ იფიქრებდა? განა ტყუილად შესწირა ამდენი ერთგულება?

რადოა წაიღა როტმისტრ ტერეშჩენკოს ამ ხუთი წლის წინად, ლენაზე?

განა ერთი ბიჭუნაც კინაღამ ზედ არ დააკლა დედას?!

— იქნება ეს ბიჭიცაა ის?!—ფიქრობს.

— ჯალათო!—ესმის ბიჭის დაცინვა.

— ააჰ!—იძრო რევოლვერი, მაგრამ ბიჭი სწრაფად დასწვდა ლიანდაგებ შუა დაყარდნილ ვაგონის ხრახნილს. და...

კრუჩოკი დაბარბაცდა. თავბრუ დაესხა, დაეცა. სისხლმა შადრევანივით იხეთქა თავიდან...

— თავისუფლება!!!

წამოიძახა ბიჭმა, ცალი ფეხი რომ შეადგა კრუჩოკს და მისივე რევოლვერი ხელში შერჩა.

ამასობაში მატარებელიც შემოტრიალდა სადგურში...

ორთქლმავალზე ფრიალებდა აღმოდებული დროშა...

ვაგონებიდან ისმოდა რევოლიუციონური სიმღერა...

— ადე! შურისძიება!... განა შეგარჩენ დედამჩემის სიკვდილს?! რევოლიუციის ძალით დაპატიმრებული ხარ!.

უყვირა ბიჭმა კრუჩოკს. ამოკრა თეხი, რევოლვერი ზურგში მიაბჯინა და წინ გაიგდო.

— გაუმარჯოს ლენელ ოლეგს!—და ამ სიტყვებთან ერთად ბიჭს ჩილი გაუწოდა რკინის გზელმა მუშამ, რა იცნო.

— აა, ძია ალიოშა?! გაიხარდა ბიჭს, რა იერზე მოაგონდა მამის ამხანაგი.

— მაგას ჩვენ გავუსწორდებით, ოლეგ.

— არა, ვინ იცის, ძია, ესეც იყო მაშინ ლენაზე?

— ალბად...

— სად დაიკარგე, ოლეგ, რომ აღარსად გამოჩნდი?

— რევოლიუციას ვაზრდები!—მიუგო ამაყად, დოინჯ შემოყრით.

ვაიღიმა...

ოლეგზე ერთხანს ამბობდენ, ირკუტსკში პიონერიაო...

შერე, სამოქალაქო ომში პატარა პარტიზანს ეძახდენ...

ახლა კი ხმა დადის, რომ ლენელი ოლეგი, ომსკში, ლენინელიაო...

**სეზმან ერთაწმინდელი.**

# თბილისის სატირის თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანი არ არის, რაც მოსკოვში გაიმართა მოხსენება-კამათი: „არის თუ არა ჩვენთვის საჭირო სატირა?"

გამოჩნდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ საბჭოთა სინამდვილეში სატირა ზედმეტია.

სატირა და სატირის თეატრები დღითი-დღე იზრდებიან, აღრმავებენ მუშაობას.

მკაცრ თვითკრიტიკის და საზოგადოებრივ კონტროლის ხაზში სატირის თეატრების ასპარეზი ფართოვდება. მათ შესაძლებლობა ეძლევათ აიჩიონ ბევრი თეატრალური იარაღი, გამოეხმაურონ ყოველდღიურ კლასობრივ ბრძოლის საკითხებს.

ჩვენ ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ სატირამ ჩვენში შიგა და შიგ არა სასურველი ხასიათი და მიმართულება მიიღო (მოსკოვი, თბილისი—საზაფხულო ესტრადა). ხშირად სატირის სახით თეატრალური „მოსაჭმენი" ახერხებდნენ სრულიად უსარგებლო პიესების და „მიმოხილვების" მიწოდებას მაყურებელთათვის.

დამსახურებით მოიპოვა ფართო მუშათა მასაში. ამჟამად სატირის თეატრი ახერხებს თვეში 20-22 სპექტაკლის ჩატარებას, განსაკუთრებით, მუშათა კლუბებში და მას უფლება აქვს იამაყოს ამით.

მიმდინარე სეზონის დაწყებამდე, როდესაც თეატრის სახე ჩამოყალიბდა და მას აღმოუჩნდა მცირე მატერიალური ბაზა, სატირის თეატრმა ჩაატარა შვიდი პროგრამა. პროგრამები ნაჩვენები იყო თითქმის თბილისის ყველა მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებშიც, სადაც კი შესაძლო იყო ტეხნიკური პირობების მიხედვით. თეატრმა სამი თვის განმავლობაში ჩაატარა საგასტროლო მოგზაურობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

ორგანიზაციული ხანა დამთავრდა: ახალგაზრდობისაგან შემდგარმა დასმა მიიღო საკმაო სცენიური გამოცდილება. თეატრმა, გარეშე რაიმე ორგანიზაციულ დახმარებისა, თავისი მუშაობით შექმნა კლუბებში ქართველ მაყურებელთა აუდიტორია. ჩამოყალიბდა რეპერტუარის ჟანრი. შექმნილ იქნა ქართული ესტრადა, რომელიც თითქმის სრულიად არ არსებობდა საქართველოში. სატირის თეატრის საესტრადო ფორმები უკავშირებულ პიესების და მიმოხილვების დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. ერთის მხრივ—პიესების განტვირთვა ზედმეტ „ლიტერატურულ" ბარგისაგან, დიალოგი მოკლე, მოქნილი და დინამიური. მსახიობს საშუალება ეძლევა ფართოდ გამოიყენოს ტეხნიკური ხერხები, ასპროცენტიანი თეატრალობა, რამდენადაც მთელი მუშაობა სცენაზე. მაგრამ, ამავე დროს, პიესების ხერხემალი გამართული ვერ არის, სცენიურ ეფექტისათვის ერთ და იმავე პიესაში ხშირად დგას რამოდენიმე საკითხი—პროტექციონიზმი, დაწინაურება, ფულების ბოროტად გამოყენება და სხვა. საკითხები იშლება, მაგრამ ვერ პოულობენ განვითარებას სპექტაკლის მიმდინარეობაში, ისეთი თემა, როგორც „ჭარხკომი", მაგალითად, დამძიმებულია პარალელურ ეპიზოდებით და პიესის დასაწყისის კვანძები იკარგება უკანასკნელ აქტებში, როგორც მდინარე უდაბნოში და გადადის პაროდიაში („ოტელო" მუშათა კლუბში), რომელიც ფარავს და ხურავს პიესის ძირითად თემას.

პრობლემატური მიმოხილვაში „კიდევ თბილისი" მამის (არხიპო) და შვილის (დვანეფია) დაპირისპირება და პირველის ასახვა, როგორც მოწინავე ელემენტის, როდესაც



ისინი ხდებიან მეშჩანურ ფენების და ზოგჯერ პირდაპირ ჩვენი მოსისხლე მტრის რუპორად, ასეთი სატირა, რასაკვირველია, ჩვენ არ გვჭირია. მაგრამ ეს გარემოება ვერ შეარყევს იმ მტკიცე საფუძველს, რომელიც უდევს ნამდვილ საბჭოთა სატირის თეატრებს. მათი მიზანია—გამოამჟღავნონ ის ნაკლი და დაბრკოლებები, რომლებიც აუცილებელია იმ დიად მშენებლობის, ყოფის გარდაქმნის და კულტურულ რევოლუციის პროცესებში, რომლებიც ტარდება საბჭოთა კავშირში. მათი მიზანია ამავე დროს მშრომელთა მასიური ისეთი ორგანიზაცია, რომ ეს ხელს უწყობდეს ყოველგვარ ნაკლის და დაბრკოლებების დაძლევას.

უკვე რამოდენიმე წელიწადია, რაც თბილისში დაარსდა ქართული სატირის თეატრი. ჯერ კიდევ დაუკანონებელი, მოკლებული ფინანსიურ ბაზას, სპეციალურად მიჩენილ დარბაზს, ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი ა. ბოსნიკაშვილის ხელმძღვანელობით შეუდგა საქართველოში ახალი ჟანრის თეატრის შექმნას. თუ ამ პირობებში თეატრმა გაიტანა ტვირთი, ეს აიხსნება კოლექტივის ენერგიით, ახალგაზრდულად შეთანხმებულ მუშაობით, სატირის ჟანრის სიყვარულით და უმთავრესად იმ ყურადღებით, რომელიც მან

ეგ მრავალფეროვანია, იდეოლოგიურად გამართული და გამართლებული, ემოციონალურად მდიდარი და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია—ის, რომ თეატრის ძიება მიმართულია ესტრადის ეროვნული ფორმის გამოსანახავად. ამ სფეროში თეატრს ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოელის. ამოცანები მეტად რთულია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ქართულ ესტრადის შექმნის მიზნით თეატრი სცდილობს ხალხურ საუნჯეს მიმართოს, ხალხური მოტივები და მუსიკალური ინსტრუმენტები გამოიყენოს—უკვე მნიშვნელოვანია და მისასალმებელი.

მიმდინარე სეზონში, როდესაც თეატრმა მიიღო სისტემატიური მუშაობის საშუალება სპეციალურ დარბაზში, ჩატარებულია ოთხი პროგრამა—„თბილისი 24 საათში", „დაწინაურებული" და ერთი აქტიანი პიესები: „აჭა ამბავი ცუდ ქარხკომზე", „კიდევ თბილისი".

რეპერტუარის კრიზისი და შესაძლოა, თვით თეატრის ჟანრი, მიმართული თითქმის დღევანდელ ამოცანებისაკენ, აიძულებს, როგორც სჩანს, თეატრს თვითონვე შექმნას სცენიური მასალა, აქედან გამომდინარეობს და-

საბჭოთა სკოლაში აღზრდილი შვილი მოკლებულია ნებისყოფას, გულუბრყვილობის განსახიერებაა და ზოგჯერ თითქოს გადაგვარების გზას ადგას. ამ მხრივ უფრო გამართლებულია მეორე პროგრამა („დაწინაურებული" და ერთი აქტიანი პიესები).

მიუხედავად ამ ნაკლისა, დიდათ მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენაა, რომ თეატრი კვალდაკვალ მისდევს თანამედროვეობას. ეს ფაქტი, დაკავშირებული დადგმების ოსტატურ რეჟისორულ დამუშავებასთან, ამსრულებლების მონდომებულ თამაშთან, ქმნის იმ კონტაქტს სცენის და დარბაზის შორის, რომელსაც მუდმივ გრძნობ სატირის თეატრში და რომელიც ძლიერ ხშირად დაკარგულია დიდ თეატრებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ თეატრის სპექტაკლები მიდის მუშათა კლუბებში („თბილისი 24 საათში" ჩატარდა 50-ჯერ, ამ სეზონში თეატრში გაიარა 50.000 მაყურებელმა) და ეს გარემოება ამაგრებს და ასაზრდოებს სატირის თეატრის ნიადაგს.

სატირის თეატრმა უკვე მოიპოვა მაყურებელი—მუშათა აუდიტორია, რომელიც ნებაყოფლობით ავსებს თეატრის დარბაზს. ეს თავდებია თეატრის მომავალი ზრდის და გამარჯვებების.

**გ. არელი.**

# დემნა შენგელაია— „ცხრა თვალი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაიას ახალი წიგნი „ცხრა თვალი“ წარმოადგენს ქართულ თანამგზავრულ ლიტერატურის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენას, რომელიც ნათლად ამტკიცებს მემარცხენე თანამგზავრობის საზოგადოებრივი როლის ზრდას.

მიუხედავათ ამისა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შენგელაიას უკანასკნელი წიგნი თვალწინ გვიშლის იმ პერ-



სამკერვალო ფაბრიკა № 2-ის მუშებმა აიყვანეს ორი უპატრონო ბავში, რომელთაც ხელობასასწავლიან.

მანენტულ მერყეობას, რომელიც ახასიათებს ზოგიერთ თანამგზავრს და ამ შემთხვევაში თვით ავტორს. ერთის მხრივ პრეტენზიები მემარცხენე მწერლის სახელზე, მეორეს მხრივ ქაოსის ფილოსოფია ანდრეი ბელის და მისი ეპიგონების (ბ. პილნიაკი, ე. ზამიატინი და სხვა..) მხატვრულ არსენალიდან წამოღებული—აი, ორი პოლიუსი, რომელთა შორის რყევა ხელს უშლის შენგელაიას, როგორც მწერლის საბოლოო ჩამოყალიბებას. იგი თავის მხატვრული პროდუქციის თემატიურ-ფორმალური რაობით, სიუჟეტის კონსტრუქციის ხერხებით და ესტეტიური თვალსაზრისით უფრო ახლოა ახალ ეპოქასთან, მაგრამ მიუხედავათ ამისა ისტორიზმის მჭვარტლი ხშირად აშავებს, აუფერულებს და სოციალურ ღირებულებას უკარგავს მის ნაწარმოებს.

დემნა შენგელაიას მთავარი თემა ეს არის სამოქალაქო ომი, სამხედრო კომუნიზმი, („თებერვალი“, „ვიქტორია“, „პორტი“, „პატარა ქალი“, „ციმბირი“ „კაც“ და სხვა) სოფელი თავის მისტიკით, არქაიზმით და პეტროგრადული ტრადიციებით („დაბა“, მორდუ“, „ჭოროველ“ და სხვა) იგი ეხება აგრეთვე სექსუალურ საკითხებს და სანტიმენტალურ ცრემლების ფრქვევით ატარებს პროვინციალურ მეშჩანებს.

როგორც ვთქვით დემნა შენგელაიას ჯერ კიდევ აწვალებს მისტიციზმის ფილოსოფია, კოშმარის თეორია და საშინელებების სფეროში აქცევს ყოველ ჩვეულებრივ მოვლენას. რას ხედავს თბილისში ეს მწერალი? იგი პირველ რიგში იკვლევს თბილისის გენეალოგიას, მას აინტერესებს ხავსმოდებული წარსული და ამიტომ გულმოდგინეთ ეძებს გარდასულ თაობის გაოდაცვლილ ამბებს. თბილისის გეოგრაფიული ადგილი მას აგონებს წმინდა შუშანიკის ძუძუს თავს; მემარცხნეობის პრეტენდენტი შენგელაია მთელ ლირიკულ მონოლოგებს აშენებს ძველი სავოდებელის, წმინდა კელეპტრების, სირაჩხანის და რუმბების და ხატის წინ დამხობილ ფეხშიშველ მოხუც დედაკაცების შესახებ. თბილისი მისთვის სიმბოლოა ყოველგვარი სიძველის და მისი თვალები აქ ხედავს მხოლოთ სიონის ზარებს, ფიროსმანის მუშამბებს, ძველ პაგონებს, აბანოში მიმავალ გავაგანიერ ქალებს, ჭლექიან პროსტიტუტკებს, ალექსანდრე პუშკინის ძეგლს და ვოლგის სანაპირო გუბერნიებიდან გადმოხვეტილ პაცანებს. ეს აიხსნება მწერლის თემატიური დაბნეულობით.



საქ. მუშგლეხიენის საჩივართა ბიუროში შემოღებულია კონსულტაცია მშრომელთათვის. სურათზე: მომჩივანთა საუბარი მუშგლეხინის ინსტრუქტორთან.

„რა არ გახსოვს შენ თბილისო, რას მომსწრე არ ხარ?“. ეკითხება მწერალი ამ მის მიერ შავი ფერებით დახატულ ქალაქს და აქ იგივე ბარათაშვილის „ვინ იცის მტკვარო“-ს ფილოსოფიაა გადმოშლილი. თბილისი შენგელაიას გადმოცემით უცნაური ადგილია: აქ ყოველ ღამეს ვორონცოვი და პუშკინი დაიარებიან აბანოსაკენ, მსჯელობენ ინგლისური სნობიზმით და მისტირიან ქართველ წარმტაც კნეინებს. ამ მხრივ შენგელაია არაფერს არ ამბობს ახალს. რეალური მოვლენის გარდატეხა კოშმარულ ასპექტში—ეს არის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხატვრული ხერხი დემნა შენგელაიასი. სამაგიეროთ, გაცილებით პროგრე-



ქუთაისი— ბარიტის ქარხნის მუშა-დამკვრელები თვალყურს ადევნებენ ბარიტის საფუშვნელ ბარაბანის მუშაობას.

სიულ ელფერს ატარებს მისი ფაქტები, რომელნიც თემატიურად ეხებიან სამოქალაქო ომს. აქაც ავტორი სცდილობს წინა პლანზე წამოსწიოს შემზარავი მომენტები, სამოქალაქო ომის ზოგიერთი ნაკლულოვანებების გაბერვას, რომელიც რუსულ ინტელიგენციის „სპეცობად“ გადაიქცა, დემნა შენგელაია ხშირად მიმართავს.

„თებერვალი“ მიზნად ისახავს გადმოგვცეს ერთი მომენტი გვარდიელთა ცხოვრებიდან. ეს პატარა მოთხრობა ამავე დროს იდეურად ჯანსაღ საფუძვლებზეა აგებული. მწერალს უცდია რამდენიმე შტრიხით ეჩვენებინა ჯარისკაცთა წამებული ცხოვრება, პარალელურად აქ ასახულია ოფიცერთა გახრწნილი მოქმედება. მოთხრობის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს პატარა გოგონა, ბოლშევიკის ქალიშვილი, რომელიც ამ ქარიშხლიან

დღეებში შემთხვევით მოჰხვდა გვარდიელთა შორის. მეორე მოთხრობა „პორტი“ უფრო ნეიტრალურ ხასიათს ატარებს. შემოქმედების ქრონოლოგიური ადგილი ეს არის დრო, როდესაც პერეკოპთან სასტიკად განადგურდენ თეთრგვარდიელები და ბოლშევიკებმა გამანადგურებელი იერიშით დაამარცხეს მათი ძალები. ნევთსადგურში საკაცით მოიტანეს დაჭრილი ოფიცერი, რომელიც პერეკოპთან იბრძოდა თეთრების ბანაკში:

— „გზა მოგვეცით, გზა!—გასძახეს მეზღვაურებმა და მჯილებითა და იდაყვებით აწრიალებული ბრბო შუა გააპეს, გზა გაკაფეს, და ოთხმა კაცმა საკაცით ვიღაცა მძიმედ დაჭრილი ოფიცერი ჩამოიტანა. საკაცეს პატარა, მოკლეკაბიანი ცხრა წლის შავგვრემანი გოგონა ძუნძულით მოსდევდა, ცალი წინდა ფეხზე ჩამოსჩაჩოდა და ოფიცრის კოზირიან ქუდს გულში მაგრა იხუტებდა. არ სტიროდა, ზმუოდა უცრემლოდ.

მეზღვაურებმა საკაცე მიწაზე დასდეს“. (გვ. 31).

შენგელაიას მრავალ მოთხრობებში ქართული ახალგაზრდა ოფიცრები იღუპებიან შორეულ ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის დემნა შენგელაიას თემატიური შტამპი, ამ ხერხს იგი იყენებს მოთხრობაში „ციმბირი“ („გზა“, იგივე „გურამ ბარამანდია“) ასეთივე სიუჟეტით იყო აგებული ნაწყვეტი მოთხრობიდან „რუსეთუმე“, რომელიც ამ კრებულში არ არის შეტანილი და სხვა.

დემნა შენგელაიას ზოგიერთ მოთხრობებში ტიპიური ადამიანების მთელი სერიაა მოცემული. აგრეთვე შენგ—ლაია ხშირად იმეორებს თავის თავს; მაგ: „პორტში“ იგივე პატარა გოგონა, რომელიც გამოყვანილი იყო „თებერვალში“. ოთარ ანთელიძის და თამროს სიყვარულის ამბავი სხვა და სხვა ვარიანტებით დაუწერია მას.

ამ წიგნში მოთავსებულ მოთხრობებიდან უფრო გამოირჩევა „ციმბირი“. აქ ავტორი სცდილობს მოგვცეს ყოფითი მომენტები სამოქალაქო ომის დროებიდან.

მესამე რიგის მოთხრობები („ლაფში“, „მორდუ“. „ჰოროველ“ და სხვა) სრულებით არაფერს არ ამბობენ დემნა შენგელაიას თანამგზავრობაზე; აქ მოსჩანს მისი როგორც იდეური, აგრეთვე ფორმალური სიახლოვე კონსტანტინე გამსახურდიას „ტაბუსთან“.

დემნა შენგელაიას შემოქმედების სრული სახის გამომჟღავნებისათვის ამ წიგნში მოცემული მასალები იძლევიან საკმაო საბუთებს, რომელთა სოციალური ანალიზის შედეგათ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს დემნა შენგელაიას ადგილი ქართულ მწერლობაში. ამ მხრივ, როგორც ჩვენ ზემოდ დავინახეთ, დემნა შენგელაიას ფუტურიზმის მიმართულებასთან იმდენი აქვს საერთო, რამდენიც თითეულ ქართველ მწერალს; დემნა, როგორც მხატვარი ეს არის გარდამავალი საფეხური სიმბოლიზმისა „ავადმყოფური“ რეალიზმისაკენ. მისი თანამგზავრული ფაქტები ამ დებულების საუკეთესო დამამტკიცებლად შეიძლება ჩაითვალოს. ფუტურიზმი პირველ ყოვლისა ურბანიზმის, ინდუსტრიალიზმის, ქალაქური კულტურის და დინამიზმის კულტის ხელოვნებაა, რომელიც გადაჭრით უარყოფს ძველი ესტეტიკის მხატვრულ მემკვიდრეობას. ამ ხაზს დემნა შენგელაია არ მისდევს, ამ მხრივ იგი მხოლოთ ნაწილობრივ ფუტურისტად შეიძლება ჩაითვალოს. მის მოთხრობებში არის მრავალი ფორმალურად ძლიერი ადგილები. აქვს აგრეთვე ერთგვარი ლირიკულ-მინორული გამოთქმები; მაგ: „საიდანღაც ისმოდა ზარბაზნების შორეული გუგუნი და **არავის ესმოდა რა საჭირო იყო ეხლა** ეს **სროლა, სადაც არც ომია და არც ჯარი**“ (გვ.. 9) ასეთი ადგილები მრავალი შეიძლება მოყვანილ იქნეს. საბოლოო უნდა ითქვას, რომ დემნა შენგელაიას წიგნი „ცხრა თვალი“ უთუოდ პროგრესიული მოვლენაა. არის შანსება, რომ მწერალი თავს დააღწევს ბნელი წარსულის მავნე ზეგავლენებს და თავისი მხატვრული საშუალებებით ჩაუდგება კულტურულ რევოლიუციაში აქტიური მონაწილეობის მიღებას. ეს მოხდება მხოლოდ მაშინ როცა შენგელაია შესძლებს საბოლოოთ თავიდან მოიცილოს კოჩა ივარდავას ავანტიურისტულ საქმეების სანტიმენტალური აღწერა.

**გ. ნატროშვილი.**



**საბჭოთა კურორტები.—ლიბანის სანატორიუმი**

# ჩინეთში შიმშილის-გან მილიონობით ხალხი იჟლიტება



დედები დასტირიან ცისქვეშ დაყრილ ქმარშვილის გვამებს

### ეკლესია პროტესტს აცხადებს „ბოლშევიკური სიმკაცრის" წინააღმდეგ, ხოლო ნა მილიონი ჩინელის დამშევას გულგრილათ უცქერის.

რას ნიშნავს ეს? შიმშილობა ჩინეთში? ჩვენთვის, ამერიკელებისათვის ძნელია ამის წარმოდგენა. თვით ევროპელებმა, რომელნიც ჩინეთის სანაპირო ქალაქებში სცხოვრობენ, არ იციან, რას ნიშნავს შიმშილი ჩინეთში. ინგლისური გაზეთები, რომელნიც ჩინეთში ან თვით ინგლისში გამოდიან, ჩქმალავენ ამ ამბავს. რადგან კარგათ გრძნობენ თავიანთი ქვეყნის ბურჟუაზიის დანაშაულს დამშეული ჩინელი ხალხის წინაშე, მით რომ სინიდისიერად აღწერით, რაც დასავლეთი ჩინეთის პროვინციებში ხდება, განსაკუთრებით კანსუსა და შენსიში, თვით სპორტის მოყვარულ მანდილოსნებსაც ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში. იმპერიალისტების ცოლებსა და ქალებს აწყენთ შიმშილის გახსენება საჭმლის მონელების დროს.



ჩინეთის ციხეებში.

ჩინეთს შიმშილი წინათაც ეწვეოდა ხოლმე, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო დროს გახშირდა. მის სტიქიონურ საფუძველს პერიოდული გვალვა წარმოადგენს: ამიტომ ყველაზე მეტად დიდ მდინარეებს დაშორებული პროვინციების მოსახლეობა ზარალდება. ჩინელი გლეხები მიწათმფლობელები როდი არიან, ისინი მხოლოდ იჯარით იღებენ მიწას, მოსავლიდან მცირეოდენი ნაწილი რჩებათ; ამიტომ გლეხს არ ძალუძს რაიმე მოიმარაგოს შავი დღისათვის. როცა გვალვა იწყება და ეგრეთწოდებული მიწის ვაშლი, რომლითაც დამშეული გლეხი იკვებებიან, თავდება, ჩინელი გლეხი სრულიად უმწეო ხდება შიმშილის წინაშე. მდგომარეობას განსაკუთრებით ამწვავებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დახმარების უქონლობა, უგზოობა, რკინის გზის ქსელის განუვითარებლობა. თუ გვალვამ გასტანა, კატასტროფა აუცილებელი ხდება. ჩინეთის რევოლუციას ორი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი: მიწის განაწილება გლეხებს შორის და რკინის გზის ქსელის განვრცობა შორეულ პროვინციებამდე. ორივე ამოცანა დღემდე გადაუჭრელი დარჩა. კომიტეტი ბევრი დაარსდა, მაგრამ ფაქტიურ ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა. სამხრეთ ჩინეთში რევოლუციის გამარჯვების დროს გლეხკაცობამ მიწები დაინაწილეს, მაგრამ რეაქციასთან ერთად მემამულეებიც დაბრუნდნენ. მმართველი გენერლები ინტრიგებსა და ომს უნდებიან, რკ. გზ. ქსელის გაშენებზე ცოტანი ჰფიქრობს; საზოგადოთ სუნიატსენის უზარმაზარი ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელება ჯერ არც კი დაწყებულა. ერთად ერთი პროვინცია სადაც რკინის გზები შენდება, მანჯურიაა.







შიმშილის საშინელებამ მოიცვა მთელი ჩინეთი. იხოცება აუწერელი ხალხი. დახოცილი გვამები ყრია გზებზე და დამარხვას ვერც კი ასწრებენ. ჩინეთის მცხოვრებლები შიმშილის გამო ქუჩა-ქუჩა მათხოვრებენ, მაგრამ მათხოვრობით თავს ვერ ირჩენენ და სასიკვდილოდ გამწირულნი უპატრონოდ იხოცებიან.

ევროპელი და ამერიკელი „ქველმოქმედები" ჩინელი ხალხის უბედურებას თავიანთი კომერციული საქმეების მოსაგვარებლად იყენებენ. კოლონიზაციის ისტორიამ დაამტკიცა, რომ იმპერიალისტების „ქველმოქმედება" საბაბია დაზვერვისა, ჯაშუშობისა და დაპყრობისთვის. შარშან კანსუს პროვინციაში უცხოელებმა დამხმარე კომიტეტები დაარსეს. მათ მოხსენებებში უმთავრესად ცნობებია იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი გააქრისტიანეს მისიონერებმა; რაც შეეხება შიმშილს, ისინი ცინიკურად აღიარებენ, ამის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელია, რადგან მას სტიქიონური მოვლენები და მოსახლეობის სიჭარბე იწვევსო.

მარტო კანსუს და შენსის პროვინციაში შარშან შიმშილით ორი მილიონი კაცი მოკვდა. ხშირი იყო შემთხვევები, რომ დამშეულები მიცვალებულთა ლეშს სჭამდენ. შიმშილი მოიცვა უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც თავისი სივრცით და მოსახლეობით სჭარბობს რომელსაც გნებავთ დიდ ევროპიულ სახელმწიფოს. რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში საქმეს კომიტეტებით, ბანკებით და მისიონერებით არაფერი ეშველება. საჭიროა რევოლიუციის მოთხოვნილებათა სრული განხორციელება, არამკითხე იმპერიალისტების განდევნა, რათა ასეთ კატასტროფებს მომავალში ბოლო მოეღოს. მიწის იჯარით გაცემის სისტემა უნდა მოისპოს. უნდა განვითარდეს გზატკეცილებისა და რკინის გზების ქსელი,



ჩინეთში მშრომელ ხალხის მდგომარეობა პირუტყვის მდგომარეობას უდრის; შიმშილის გამო, სიკვდილის თავიდან ასაცილებლად, იძულებულნი არიან შეებან უღელში და აწარმოონ ადამიანისთვის აუტანელი მუშაობა, რის გამო იმპერიალისტები ჯილდოდ გროშებს აძლევენ.

რათა გვალვით დაზიანებულ პროვინციებს საჭირო დროზე მიეშველოს. მაგრამ ამ მოთხოვნილებათა განხორციელება მხოლოდ ისეთ მთავრობას შეუძლია, რომელიც თვით რევოლიუციიდან გამოვა. სანამ ჩინეთში გენერლები, იმპერიალისტები და მისიონერები თარეშობენ, ჩინელი გლეხი თავს ვერ დააღწევს მომაკვდინებელი ცელით მჭელ შიმშილის მოჩქენებას

# მხატვარი ფ. ტერლემეზიანი

## სურათებ'ს გამოფენა

სომხეთის ცნობილი მხატვარი ტერლემეზიანი რეალისტ მხატვართა თაობის უნიჭიერესი წარმომადგენელია. ის თავის შემოქმედებაში არ დადის არც ნატურალისტურ მხედველობამდე და არც თეორიულ მემარცხენე მაძიებლობას იჩენს.

ყოველი მისი სურათი გამეორებაა იმის, რაც მხატვარს უნახავს და თავის ყურადღების ღირსად უცვნია.

მხატვრობის ძველი ამოცანა,—რომ ნახატი მით უფრო ღირებული იქნება, რამდენადაც ზედმიწევნით გამოსახავს ობიექტს,—ტერლემეზიანისათვის უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს. იგი დაჯერებით მუშაობს ამ მიმართულებით და ამ სარეცენზიო წერილში მას არ შევედავებით. უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია ის თუ, როგორ ასრულებს ამ ამოცანას. ამ მხრივ მხატვარის ყოველი პეიზაჟი და ჟანრი მრავალმხრივაა საყურადღებო, უდავოა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ფერების და ხაზის დიდ ოსტატთან. პირველ რიგში მაყურებლის ყურადღებას იქცევს მხატვარის სამოქმედო ტერიტორიის რადიუსი. მაყურებლის თვალწინ გადაშლილია სანახაობანი ამერიკის, ევროპის, ოსმალეთის, სომხეთის და საერთოდ ამიერ-კავკასიის ბუნებიდან და ცხოვრებიდან.

„საღამო ლამანშის ნაპირზე" „ნიაგარას მდინარეობა" „ციხეები ბოსფორის ნაპირზე", „მუშათა კვარტალი პარიზში", „ნახევარ გუმბათი (კალიფორნია)", „გაზების ქარხანა ნანტუკეთის კუნძულებზე", „გრანდ-კანონ" (ამერიკაში), „ზღაპრული გორისი", „ლორისელი მწყემსი", „თბილისი", და მრავალ სხვა პეიზაჟებში მხატვარი იჩენს ფერთა გასაოცარ მგრძნობელობას. ამ მრავალფეროვან ბუნების გადმოცემაში დაცულია თავისებური (გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით) კოლორიტი და მაყურებელს საშუალება ეძლევა ობიექტიურად გაეცნოს მხატვარის მიერ აღებულ საგნებს და მათ თავისებურ ფერადობას.

მხატვრის ამ იშვიათ ფერთა მგრძნობელობას აძლიერებს სურათების კომპოზიცია და ხაზების ოსტატური დამორჩილება.

ჩრდილ-სინათლის განაწილების და აქედან გამომდინარე პერსპექტივის საკითხის გადაჭრაში მხატვარი თითქმის ვირტუოზობამდე მიდის. მისი „აკლდამა" რელიეფის სრულ ილუზიასაც კი იძლევა ორ განზომილებაში.

სხვადასხვა პირთა პორტრეტების და პეიზაჟების დიდი დახელოვნებით შესრულების გარდა, მხატვარს ტილოზე გადაუტანია მომენტები ინდუსტრიალურ წარმოებიდან. ამ მხრივ საყურადღებოა „სპილენძის წარმოება სომხეთში" და „ლითონ-მსხმელი". გამოფენილია აგრეთვე რამოდენიმე სურათი სოციალური შინაარსისა. „ომის საშინელება" თავისი კომპოზიციით და შესრულებით მართლაც საშინელ განცდას იწვევს მაყურებელში. ეს სურათი მიზნობრივადაც გამართლებულია. ასევე საყურადღებოა სურათი, „მშიერული მუშა". აქ მხატვარი სოციალურ სიმახვილესაც იჩენს, რამდენადაც ის იძლევა კაპიტალისტურ გარემოცვაში გაწამებულ და მოფიტულ „მშიერულ" მუშის ტიპიურ პორტრეტს.

მხატვარ ტერლემეზიანის სურათების გამოფენა ერთხელ კიდევ ხელმეტად ამტკიცებს ჩვენი თანამედროვეობის შეხედულებას მხატვრობის მიზნებზე. ჩვენს პირობებში რაგინდ დიდი ოსტატი იყოს მხატვარი, მისი შემოქმედება იქნება უმიზნო, თუ თავისი ოსტატობა არ დაუკავშირა გარკვეულ მსოფლმხედველობას და პროლეტარულ კლასის ამოცანებს.



პეიზაჟი—ნახატი ფ. ტერლემეზიანის.



ქარხანა—ნახ. ტი ფ. ტერლემეზიანის.



სოფელი მთაში—ნახატი ფ. ტერლემეზიანის.

გ. გ.

# ვ. მაიაკოვსკის თვითმკვლელობა

**მოსკოვიდან მოულოდნელად მივიღეთ შემდეგი დეპეშა:**

**14 აპრილს, 10 საათსა და 15 წუთზე, თავის კაბინეტში გულში რევოლვერი დაიცა და თავი მოიკლა პოეტმა ვლადიმირ ვლადიმირის ძე მაიაკოვსკიმ.**

**წინასწარი გამოძიება იმას ადასტურებს, რომ მაიაკოვსკის თვითმკვლელობა გამოწვეულია პირადი ამბებით და ამ მკვლელობას არავითარი კავშირი არა აქვს მის საზოგადო და ლიტერატურულ მოღვაწეობასთან.**



**ვ. მაიაკოვსკიმ სიკვდილის წინ დასწერა წერილი, სადაც ამბობს: ნურავის ბრალს ნუ დასდებთ და ნურც იჭორიკანავებთ. მიცვალებულს ასეთი რამ სძულდა!**

**ამხანაგებს და პროლეტარულ მწერლებს სწერს: ძვირფასო ამხანაგებო! ნუ ჩამომართმევთ სულმოკლეობად და სილაჩრედ. გარწმუნებთ—სხვა გზა არ მქონდა.**

# საბჭოთა კურორტები



ახალი დასასვენებელი სახლი მუშებისათვის წყალტუბოში

# ქ ა რ ა ლ ც ი

### პროვინციელი საფრთხობელა*)

თბილისის სადგურზევე ლონგინოზმა ყურადღება მიიქცია. სქელი ჯოხით ხელში, თავზე მისრესილი კეტილოკით მიაბიჯებდა. უკან ხურჯინ აკიდებული გორგოლა მისდევდა, რომელსაც კალთებ ჩამოგლეჯილი ჩოხა ეცვა და თავზე კი ყურებამდე ჩამოფხუტული კეპკა ეხურა. ამით უკან მიდიოდა ბესარიონი. ქუთაისში მისამართის ან სასტუმროს საკითხად მილიციონერთან რომ შეჩერდებოდნენ, უცბად ცნობის მოყვარე ხალხიც შემოეხვეოდა.

ლონგინოზს მილიციონერმა „გლეხთა სახლი" მიასწავლა და პირდაპირ გამოსწიეს, მაგრამ გზა და გზა ვინც კი შეხვდებოდა, არ შეიძლებოდა, რომ არ შემდგარიყო და მათთვის თვალი არ გაეყოლებინა.

ლონგინოზი ამას ამჩნევდა და უფრო მეტად იბღინძებოდა.

— გორგოლ! ჰხედავ, თითქოს იერუსალიმში ქრისტე შევიდა, ხალხი ისე გვხვდება... და იცი, რატომ? ხომ გეუბნებოდი, მე მთელი მსოფლიო მიცნობს მეთქი... მათ ეწვიათ რჩეული და იშვიათი ლონგინოზ ტურაბელი... ხვალ ნახავ, რომ ბანკეტს მიმართავენ...

— შენ აგრე გგონია? მე კი ვფიქრობ, რომ მაგ ყვავის ბუდეს მისდევენ! აბა, ვის ხურჯინს ბაგისთანა ქუდი? წელან ვერ გაიგე: მოვიდა საფრთხობელაო!

— გორგოლ! მაგას შენ ფიქრობ, რადგან გაუწვრთნელი ხარ... მაგ ხალხმა უკვე იცის, რომ მე ტუჩილ-უბრალოდ არ გავირჯებოდი და თუ დღეს მე თბილისში მხედავენ, უთუოდ მიზეზები არიან, რომ საქვეყნო საქმისთვის ჩამოვსულვარ... შენ გგონია, ვერ ამჩნევენ, რომ „დელეგატი" ვარ? მე ზავშიც კი მიცნობს!

— მაგრამ მაინც ეგ ქუდი მოიხადე და სხვა იყიდე...

უკვე „გლეხთა სასახლესთან" მივიდნენ. ლონგინოზი პირდაპირ შევიდა და გამგეს წარუდგა.

— აბა, ოთახი!

— ოთახი არ არის...

— მე ვარ ლონგინოზ ტურაბელი!

— ოთახები სულ დაჭერილია.

— რას ამბობ? როგორ? მე ვერ მიცნობ? მე, მე...

ლონგინოზი მოუბრუნდა ბესარიონს და უთხრა:

— ჰხედავ, ამ რეგვენს? მე ვერ მიცნობს...

ლონგინოზმა იმდენად ოთახზე უარი არ იწყინა, რამდენადაც ის, რომ „გამოჩენილი ტურაბელი" ვერ იცნო. ჩხუბი ჩაერთდებოდა, რომ ბესარიონი არ ჩარეულიყო ლაპარაკში და თავისი მანდატი არ ეჩვენებინა და თბილისში ჩამოსვლის მიზეზი არ ეთქვა.

„გლეხთა სასახლის" გამგემ ბესარიონს უთხრა:

— რა ვქნა, ამხანაგო, ოთახები სულ სავსეა და თუ ამაღამ „კორიდორში" ილამ წახვალთ, ხვალ იქნებ განთავისუფლდეს...

და სამივეს გაუძღვა.

ლონგინოზი კიბეებზე ადიოდა და თან ფიქრობდა: ვინ დაუყენებიათ ეს რეგვენი, რომ მე ვერ მიცნობს?

იმ ღამეს ლონგინოზს ცუდადაც ეძინა და ცუდს სიზმრებსაც ჰხედავდა.

**დღეს-ხვალობით თბილისში დარჩნენ.**

მეორე დღეს, ჯერ კარგა არც კი გათენებულიყო, „გლეხთა სასახლიდან" გამოვიდნენ.

ქუჩებს მეეზოვეები გვიდნენ.

ერთ მეეზოვეს წარუდგა ლონგინოზი და ეუბნება:

— იცი, მე ვინ ვარ? აბა, გვიჩვენე ის ტეხნიკი, რომელიც ზეოთში იყო, რჩევა-დარიგება მოგვეცა და დაგვპირდა დინამოს გაყვანებითო.

მეეზოვემ ახედ-დახედა და ისევ ცოცხი გაიქნია!

— შენ, ეი, არ გესმის? იცი, მე ვინ ვარ? დაანებე მაგ ნაგავს თავი და გაგვიძეხ!

მეეზოვემ არც რუსული იცოდა და არც ქართული. ვერაფერი გააგებინეს ვერც ენით და ვერც ხელების ნიშნებით.

იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ. ბაღზე აიარეს. შეჩერდნენ გოგოლის ძეგლთან და ლონგინოზი ოცნებას მიეცა.

— ამ ძეგლის გახსნის დღეს მოწაფეების სახელით სიტყვა წარმოვსთქვი და, აბა, იმ დროს რას წარმოიდგენდი, რომ რასაც მაშინ გოგოლის ძეგლს ვეუბნებოდი, ეხლა იგივე სიტყვები და უფრო აფერთოვანებულიც თვით ჩემზე ზედგამოჭრილია? იცით, რა ვსთქვი? სიგიჟე და გენიალობა ტყუპები არიან! მათში რომელიც დასძლევს—შემდეგ ის განვითარდება! ამ უბედურ მწერალში კი ორივე თანაბრად ვითარდებოდა და აკი მიტომაც წავიდა ხელიდან!

— ლონგინოზ, როგორც სჩანს, მწერალი უთუოდ ან გიჟია, ან გაგიჟდება! მეშინიან, შენც რამე ამისთანა არ შეგემთხვას!—უთხრა გორგოლამ.

— შესაძლებელია, ჩემო კარგო, შესაძლებელია! საზოგადოდ მწერლები ანორმალური ხალხია—სხვაფრივ, ვერც იქნებოდნენ მწერლები და ეს არც დასაძრახისია!

და აქ ჩამოთვალა ქართველი თუ უცხოელი მწერლები, რომლებიც, ლონგინოზის აზრით, საგიჟეთში თოკით დასაბმელები იყვნენ.

პატარა მანძილი კიდევ გაიარეს და რუსთაველის პროსპექტის პირას შეამჩნია სხვა

*) იხილე „დროშა" №№ 2, 3, 4, 5, 6.

ძეგლი. უარა გარშემო და დაიძახა: საწყალი ეგნატე! კაცო, მე მას ისე ვიცნობდი, როგორც შენ მე მიცნობ! საკვირველია, როცა ძეგლს უდგამდნენ, რატომ მე არ შემატყობინეს, მე ხომ გავაპატიოსნებდი და მას ერთი ორად სიდიადეს შევმატებდი? უნდა გითხრათ: ეს რომ პლექით არ მომკვდარიყო, უთუოდ გაგიჟდებოდა, რადგან გენიალობამდე ერთი ნაბიჯი-ღა უკლდა! როგორც სჩანს, ძეგლი არც მე ამცდება, და იმას ვჩივი, რომ ჩემსავით ლირიკული, ჩემზე სიტყვას ვერავინ იტყვის.

— მე ვიტყვი, ლონგინოზ, მე!—ეუბნებოდა გორგოლა.—იცი, რას ვიტყვი? გეხიილობა: შენ სამი ნაბიჯით გაუსწარ და მიტომ აღარც გიჟი ხარ და აღარც გენიოსი—გადაღმა იმყოფები!

ბესარიონს გაეცინა. ლონგინოზმა კი გორგოლას შეუბღვირა და მიაძახა: შე ტაკი მასხარავ!...

ამ დღეს ლონგინოზი და მისი ამხანაგები ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადადიოდნენ. ბევრ მოხელესთან შეტაკება მოუხდა და ბევრს პირში ბიუროკრატი დაუძახა, მაგრამ ის „ჩინოსნობი ტეხნიკი" მაინც ვერ იპოვეს.

ასე რამდენსამე დღეს ეძებეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

უცბად აზრად მოუვიდა, შეიაროს რედაქციაში. იქ ხომ ყველაფერი ეცოდინებათ. ამას გარდა, სხვა საქმეც ჰქონდა: თავისი ნაწერები!

— ამიტომაც ვნახავ და კვიცსაც გავხედნი!

ოცნებაში წარმოიდგინა, როდესაც რედაქციაში შევიდოდა, ყველანი ფეხზე წამოუდგებოდნენ. რედაქტორი კაბინეტში მიიწვევდა და იგი თავს ბედნიერად ჩასთვლიდა, რომ პირისპირ ლონგინოზ ტურაბელს ესაუბრებოდა და იმ საუბარს ლონგინოზის სურათით მეორე დღეს გაზეთში დასტამბავდა შემდეგის სათაურით:

„უდიდესი თანამედროვე და მომავალ საუკუნოების უკვდავება ჩვენს რედაქციაში".

ლონგინოზს ისიც კი უკვირდა, რომ სამიოთხე დღე ქალაქში იმყოფებოდა და მას თვითონ რედაქტორი არ ეახლა.

მეორე დღეს ლონგინოზმა გორგოლას თავის ნაწერებით სავსე ხურჯინი აჰკიდა და პირდაპირ რედაქციისაკენ გასწიეს.

— გორგოლ! აქ თავი სერიოზულად დაიჭირე და არაფერზე გაგეცინოს, თორემ შემარცხვენ—იქ შენს თავს ჩემს მდივნად გავაცნობ... არ იცი, რომ დიდს მწერალს საკუთარი მდივნები ჰყავს?..

— ოღონდ კი ეს ტვირთი მალე მომაშორე და რაც გინდა ჰქენი!

— ნუ ამბობ: „ჰქენ". ლამაზი გამოთქმა არ არის! უნდა სთქვა! როგორც მოგესურვოს, ისე მოიქეცი!

შევიდნენ რედაქციაში. შეჰყვა გორგოლაც. ლონგინოზი ჰხედავს, რომ ფეხზე არავინ აუდგა.

რამდენიმე თანამშრომელი და მდივანი თავჩაღუნულები ისხდნენ და სწერდნენ.

— მე ვარ ლონგინოზ ტურაბელი!

ლონგინოზმა ოფლი მოიწმინდა და გაჩერდა. ერთმა თანამშრომელმა კალამი შეაჩერა და ლონგინოზს შეხედა. რომელიღაც გაკოტრებულ სპეკულანტს მიამსგავსა და უთხრა:

— შენთვის აქ არავის სცალიან, თუ რამე განცხადება გაქვს, კანტორას მიმართე!

— მე პროვინციიდან ჩამოველ!

— ჰო!

— მე ტურაბელი ვარ! თქვენ უნდა იცოდეთ, ვინ არის ტურაბელი!

— განცხადება გაქვს?

— არა!

— ქრონიკას იძლევი?

— არა!

— აბა, მაშ რა გინდა?

— მე მაქვს მსოფლიო პრობლემებზე მოსაზრებები, კრიტიკული წერილები, მოთხრობები, დრამები და აღმოჩენები.

— ნუ თუ თქვენ არ იცნობთ ლონგინოზ ტურაბელს? ეს ისეთი კილოთი სთქვა, რომ ძალა-უნებურად სხვებმაც წერას თავი მიანებეს და ლონგინოზს მიაჩერდნენ.

— მე მინდა ვნახო რედაქტორი, რადგან მხოლოდ რედაქტორს შეუძლიან ჩასწვდეს იმ უნივერსალურ საკითხებს, რომლებიც ჩემს ნაწარმოებებშია და მინდა პირადად გავეცნო...

გორგოლამ მოხსნა ხურჯინი და გადმოალაგა ნაწერები.

— აი, საკმარისია მარტო ეს დაიბეჭდოს, რომ ქვეყანა შეირყეს!

— ამხანაგო,—შეაწყვეტინა მდივანმა—ჩვენ იმისთანა რამეს არ ვბეჭდავთ, რომ ქვეყანა შეირყეს. ნუ სწუხდებით, ისევ ხურჯინში ჩაალაგეთ და მიბრძანდით.

— როგორ? მითხოვთ?

— არა, მწერალთა კავშირში მიბრძანდით, იქ ნახავთ თქვენი კბილის ხალხს და რჩევასაც მოგცემენ.

— როგორ? მე რჩევა მჭირდება? გეფიცებით, ამ ნაწერებს მტკვარში გადავყრი და კაცობრიობაზე შურს ვიძიებ...

ლონგინოზს ეგონა შეეხვეწებოდნენ და დაუშლიდნენ: ასეთ ჰეროსტრატობას ნუ ჩაიდენო, მაგრამ ხმა აღარ ვინ გასცა. თანამშრომლები სიცილს ძლივს იმაგრებდნენ და გული მაშინ იჯერეს, როცა ლონგინოზი კიბეზე ჩადიოდა.

ლონგინოზი მიდიოდა და უკან მისდევდა გორგოლა. ვერის ხიდზე რომ შედგნენ, ქარმა დაუბერა და ლონგინოზს კეპელოკი მოსტაცა.

გორგოლამ იდროვა და ხურჯინი მტკვარში გადაუძახა.

— ქარმა შენ სათუთობელა მოგაშორა, მე კი კაცობრიობაზე შური ვიძიე და მხრებიც ტვირთისაგან გავითავისუფლე.

— ო, შე უგუნურო, წყალს გაატანე ჩემი უკვდავება?

— რედაქციაში შენ არ დაემუქრე: კაცობრიობაზე შურს ვიძიებო? შენ აღარ შეაწუხე და მე ვიძიე, ასეთიც უნდა ერთგულება!

— ჰო, ჰო, ჰო!—წაბარბაცდა ლონგინოზი და, ცოტას გადაარჩა, ავტომობილმა არ გაიტანა.

გორგოლა მხრებში შეუდგა. მოჰყავდა და თან ანუგეშებდა: გულს ნუ გაიტეხ, შენისთანა ბევრი ყოფილა! კაცობრიობას იმათი ნაწერიც ეყოფა!

გაბრიყვებულ ლონგინოზს არაფერი ესმოდა.

ვერის დაღმართს რომ ამოვიდნენ, ლონგინოზს გულზე მოეშვა, რადგან მიცვალებულის პროცესია შეხვდა, ვერის სასაფლაოზე მიმავალი.

ლონგინოზს ლაპარაკის სურვილი აეშალა და პროცესიაში შეერია.

— უთუოდ ჩემი ნაცნობი იქნება და ყოვლად შეუძლებელია, რომ ჭირისუფლებს არ ვეჩვენო და სამძიმარი არ ვუთხრა; ან ეგებ სამარეზე სიტყვით არ გავაპატიოსნო.

ხან წინ წავიდა, ხან უკან ჩამორჩა, მაგრამ ნაცნობი არავინ აღმოჩნდა.

— არა, შეიძლება მე ვერავის ვიცნობ, მაგრამ ისინი მე მიცნობენ და უხერხულია, რომ მიცვალებულს სიტყვა არ უთხრა.

ამ დროს გაუსწორდა ორ ყმაწვილ კაცს, რომლებიც ტრაგიკულად დაღუპულ ახალგაზრდა ინჟინერებზე ლაპარაკობდნენ და ლონგინოზს მოეჩვენა, რომ ინჟინერს მარხავდნენ. უკვე სიტყვის გეგმა შეადგინა.

სასაფლაოზე მუსიკამ სამგლოვიარო დაუკრა. ენახოთ, ჩვენი ლონგინოზი მაღლობზე წამოიჭიმა და დაიწყო ჩვეულებრივად: „დიდო პოეტო, ღმერთო იყო შენი სიკვდილი"!

ჭირისუფლებმა ერთმანეთს გადახედეს და ერთმანეთს ანიშნეს: ვინ არის ეს საგიჟეთიდან გამოვარდნილიო!

ლონგინოზმა განაგრძო:

— რაკი ადამიანი კვდება, სჩანს ინჟინერიც უნდა მოკვდეს და აი, დღეს ერთს ასეთს ინჟინერს ვასაფლავებთ და აქ იბადება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა.

რა არის სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა? ეს არის გადაჭრილიც და გადაუჭრელიც! აი, როდესაც, რომელიმე დოგმას ამუძრავებ—ამისთვის საჭიროა ავტორიტეტი—მაშინ უთუოდ ადამიანი მახინჯაცის აკეთებს, რომ სხვას ლუკმა წაართვას—ეს არის სიცოცხლის პრობლემა—სიკვდილი კი ამ ბრძოლის შედეგია, როცა შენ სხვას ლუკმას წაართმევ—მაგრამ ეს ინჟინერი, სტიქიამ დაღუპა, როცა ნავში იჯდა. ამავე აზრს ანვითარებს მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერი ნაბლოდორმზონი და ფრანგი გარდათუსე...

ლონგინოზს უყვარდა თავისი აზრი ავტორიტეტების ციტატებით დაედასტურებინა და ისეთებს დაასახელებდა, რომლებიც არავის გაეგონა და არც არსებობდა, თორემ შეიძლება ვინმე წამოსწითლებოდა. გაცხარებულ ლაპარაკის დროს ლონგინოზს ვიღაც მისწვდა და უკან გაათრია.

— რა გინდა, ყმაწვილო, კალთას რას მეწევი? მაცალე!

— რას ბოდავ? უთხრა უცნობმა.—შენ ჩვენს მიცვალებულს იცნობდი?

მიცვალებულის ნათესავები ზოგი აბრეზილი იყო და ზოგიც სიცილს ძლივს იმაგრებდა.

— სიტყვა რად გამიწყვიტეთ?—ეკითხებოდა უცნობს ნაწყენი ლონგინოზი.

— შენ, ალბათ, სხვა მიცვალებულზე იყავ მოწვეული, აქ ჩვენ ინჟინერს კი არ ვასაფლავებთ, არამედ ოთხმოცი წლის დედაბერს.

— აა! მაგრამ, ეგ სულ ერთია! სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა მაინც ყველგან ერთი და იგივეა... ამას, სადაც მიბრძანებთ, დაგიმტკიცებთ...

და ლონგინოზი ხელ-ახლად აპირობდა დედაბერზე სიტყვის თქმას, მაგრამ უცნობმა მთელის ძალღონით უკან დასწია, შეატყო რომ ვიღაც გადარეულთან ჰქონდა საქმე და სიტყვა მოასწრო:

— თქვენი სიტყვა ჭირისუფლების გრძნობაზე მოქმედებს და გთხოვენ თავი დაანებოთ.

ლონგინოზს ესიამოვნა ასეთი ქათინაური, თავი მოიწონა და უთხრა:

— აბა, მაშ გამამხნევებელს ვიტყვი...

— არა, ნუ შესწუხდებით!..

— მე შეწუხებულები მინდა დავამშვიდო.

უცნობმა ლონგინოზი წრეს გარედ გაიყვანა, ძეგლების იქით და სანამ პროცესია არ დაიშალა, თავი აღარ დაანება.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

**სანდრო შანშიაშვილი.**

13
ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ზ ი ს ქ ვ ე შ

(წიგნიდან „ისის ნაპირი")

მხოლოდ სამი დღე იყო ისეც მოლოდინებულ-ლი.

მხოლოდ სამი დღე თოვდა განუწყვეტლივ: ოსეთის მთაჩხვერებზე, თუ ქვერნის სიმაღლეებზე, ტირიფონის ველზე, თუ კიდევ თვალუწვდენელ, თითქოს ნისლიან სიჩუმით მოფენილ სივრცეში.

და მზეც, იძირებოდა დაძონძილ სათოვლე ღრუბლების ქსაზლეროებში.

რაღაც თავისებური და მიმზიდველია ამ დროს გზა-ველები...

ჩამოფუთქულია გაძარცული ხეები, ჩამოგლეჯილი მთისიმაღლეები, ჩამოშავებული მუდამ მუქნისლიანი ხევები.

ირგვლივ აგდია სივრცე ყრუ, სივრცე უშრიალო.

და ასე; მხოლოდ სამი დღე ჩამოდიოდა განუწყვეტლივ თოვლად, ციდ განთიადებით, მაგრამ აი...

ღრუბლებ შორის ლორჯდება ცა თვალმზიდი, მხიარული.

აბოჭყვიალდა მზე გულის გასახარებლად და მალე გამოიდა დაწმენდილი ლაჟვარდები.

დათბა.

დამდნარი თოვლი წამოვიდა ღვარებად

აიმღერა ღიახვი, მეჯღდაც.

— გამოიდარა! ამბობს ქიტესა.

— ეხლა არავის არ გაგვეყინავს მაინცა.

ადგა, სარკმელს მიუახლოვდა.

(მინები ჩამტვრეული იყო და ქაღალდით აწეპებული).

გააღო.

სარკმელიდან შემოვიდა ნათელი, გაზაფხულის მზიანი დღე.

— მალე მინდვრად გავლენ, მშვენიერი დღეები იქნება!

— საინტერესოა მართლაც!

— შენ უნდა გენახა, პირველათ მიჯნის აშოსაყრელად რომ წავიდა სოფელი!

— დიდი თუ პატარა ყველა გაყვა მიმავალ ტალღას.

და ქიტესა მოჰყვა ყველაფერს.

მართლაც რომ თავისებურია ეს კაცი.

ამბობს სიტყვებს: გარკვევით, მკვეთრად, ხალისიანად.

გინდათ სულ ილაპარაკოთ, არ მოგწყინდებათ მასთან საუბარი.

* * *

ჩვენი ოთახი ცივი და ნესტიანია.

ორი ფართო, ცისფერად შეღებილი ფანჯრებიდან შემოდის დღის სინათლე და გვიხარია ზაფხულის ხალისი.

კედლები ქვიტკირისაა: მაღალი, მოკაროებული და ჩამოშავებული.

რომ შეხვალ, სული შეგეხუთება.

ისე ვიწრო, ბნელი და ჩაბინძურებულია...

იატაკი ხოგან ჩამპალი, ჩატეხილა.

ეხლა: ზედ ფიცარი დაუკრიათ, ისიც ჩატეხილა.

ღობე: ალაგ-ალაგ, სადღაც გამოცვენილი და საშიშია.

კედლები თითქოს გულზე გაწვება.

კედლები თითქოს გხუთავენ.

გინდა გაშორდე, გახვიდე წმინდა შემთბარ ჰაერზე, დაილაპარაკო გლეხს.

* * *

...და ოთახი გაიგვიდა ბოლით,

თან მზეა, თან ხიცივეა.

ცივია ზაფხულის დილა. თითქოს შემოსხავი, ზოგჯერ. მზეც სისხლის ფერია და ცა ფერმკრთალი.

დიდხანს იდგა ქიტესა სარკმელთან. მერე მობრუნდა ჩემსკენ და მითხრა:

— სიცოცხლე იწყება დღეიდან! მზე უკვე ნის მიწას! მიწა გაიხარებს ჯეჯილებით! გავიხარებთ ჩვენც და მზის ქვეშ აგუგუნდება ჰოპენა და ჰორროველა!

* * *

ხიაილული კაცია ჩვენი მასპინძელი ბერუა.

მხიარულია ბერუას მეუღლე მართაც.

ბერუა, თუმცა ხანში შესულია, მაგრამ, მაინც ჯეელობას ჩემულობს (ეს მართას გამოთქმის თანახმად).

მაინც არ ტყდება, მაინც არ იჩენს მოხუცის ტკივილებს, მოთენთვას.

ოჯახი ძალზე სტუმართმოყვარე, გულღია და გულთბილი.

მართა ცდილობს არ შეეკრხეეს (ეს სიტყვები ბერუას ეკუთვნის).

ჩქარობს. ეს დროზე შენიშნა ბერუამ და ჰკითხა:

— „ქალო! დღესაც ხომ არ აპირებ სადმე წასვლას?"

— მაშ, მივდივარ! უპასუხებს მართა.

— სად?!

— სამუშაოდ ბაღებში!

ბერუამ თავი მოიქექა. მერე ჩვენ გადმოგვხედა ნამცინარევი სახით და გვითხრა:

— წამართვეს ცოლი და ესაა! საღამოს დაღლილი რომ მოვალ ერთს ხეირიანად ვერ ვაკოცებ!

მართამ დარცხვენილი თვალებით შემოგვხედა და მერე ერთბაშად წამოიძახა:

— მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე!

ბერუამ გულიანად გადაიხარხარა.

ამ დროს კარებში გამოჩნდა ახალგაზრდა ბიჭი.

მისი თვალები: წმინდა და მგზნებარე, სუფთა პირისახე, ლაღლაჟა ლოყები, ადგილიდან სწრაფი მოწყვეტა და მტკიცე ნაბიჯები გარწმუნებდა, რომ მასში არის ჯერ დაუცლელი ენერგიის მარაგი.

გარწმუნებდა, რომ მისი სისხლი ჩქროლავდა, ღელავდა ტანში, ცხელ ტალღებად.

— დედი! თუ რამე გაქვს ჩქარა შემიხვიე! —მიმართა მართას.

— სათ?!—შეეკითხა ქიტესა.

— მეხრედ მივდივარ!

— მეხრედ?!

— ხო!

— რვა გუთნეული გადის დღეს!

— ეს კი საინტერესოა!

მართას არ დაუყოვნებია. დაუმზადა საჭმელი წასაღებად.

ის სწრაფად მოტრიალდა.

— ნახვამდის!

გვითხრა მხოლოდ და გაქრა კარებში.

— ყოჩაღი ბიჭი გვყოლია!—უთხრა ბერუას ქიტესამ.

— მაშ, ასეც უნდა—სთქვა თავისი მხრივ ბერუამ და თან დაუმატა:

„კოლექტივისთვის სჯობია

შვილი რომ სჯობდეს მამასო".

— რამდენიმე ხნის შემდეგ გაისმა ზარების რეკა. ზარის ხმა დიდხანს შერჩა მზის სხივებით ოდნავ შემთბარ სივრცეს.

ბერუა მაშინათვე წამოხტა.

უკვე აშკარა გახდა, რომ ხალხი სამუშაოზე წასასვლელად ემზადებოდა.

— რა სამუშაოზე გადიხართ!—შეეკითხა ქიტესა.

— სარების საჩეკავად!

— კარგია!

ბერუამ ხელწალდები აიღო. მერე მაღლა ასწია თავი, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ისევ ქიტესამ დაასწრო:

— ჩვენც მივდივართ, წავიდეთ!

და მერე მან ისევ პირაცინებულად შემოგვხედა. ნელა გაიშალა ბაგეებზე ღიმილი და კმაყოფილებ...

— სასიამოვნოა! სასიამოვნოა!

* * *

— აი ამ ბრჭყვიალა მზის ქვეშ, ოდნავ დაჩხვეულ, დაწმენდილ დილით, ნასახლარის იქით, ყავარ აცვენილ შენობასთან, ვრცელ მინდორზე, გროვდებიან გლეხები.

მოდიან დაკერძნხნულ, ბაძგარებიანი, ნატეხილ ლობეების გვერდით.

დუმილიან სივრცეში იფანტება ბოხი ხმები და ჰაერში ნაუცაბედავათ გასროლილი ძახილი.

მოდიან ჯგუფებათ.

მოდიან თითო-თითოდ.

გადადიან გაზაფხულის ტალახიან შუკებზე. ცარიელ ადგილებზე და გაფანტულ. გახსოვლ თოვლის ბილიკებით მოიჩქარიან.

მხურვალე მზის ქვეშ თბება მიწა.

მიწა მოითხოვს მუშა-ხელს.

გლეხმა იცის მიწის ძახილი.

როცა გლეხი დოვლათს ჰქმნის, ის მით კმაყოფილია...

უფრო მეტიც...

არასოდეს ისე კმაყოფილი არაა, როგორც მაშინ, როცა ხედავს შრომის ნაყოფს, ხვავათ რომ ჰყრია თბილ მიწაზე.

და აი: მზე გულუხვად აშრეტს სხივებს.

დნება თოვლი. თბება გაყინული ბელტები. მიწა.

სიამოვნოთ ერთად ესაადებიან გლეხებიც.

მოდიან ჯგუფებათ.

მოდიან თითო-თითოდ.

ხვდებიან ერთმანეთს. სალამს აძლევენ ღიმილით.

მოდიან მოხუცნიც. უფრო ახალგაზრდები —ნაცრისფერ მაზარებში, გაცვეთილ თეთრ ნოლებიან შარვლით.

— სად არის ბერუა?!—იძახის ერთი.

— რად გინდა?!

— როგორ თუ რად!!!

— გვაგვიანდება! სხვა ოლეულები უკვე წავიდნენ სამუშაოზე!

მზეს უცინით,

მზე გვიცინის.

— ბერუა ხომ ოცმეთაურია, გვაგვიანდება!

ბერუაც შენობაში იყო და მოსულებს, გამოცხადების დროს ფანქრით ნიშნავდა გრძელ ხაზებიან ქაღალდზე.

გლეხები ღიმილით მიმართავდენ ერთიმეორეს.

უხაროდათ ეს.

სახეები სხვადასხვანაირია: ქანქილილივით აჭრილებული, ჩაქლიბული, ფერ გადაკრული, ნაოჭებიანი...

თვალებიც მრავალფერია: თაფლა, ჭროღა, მუქი, ლია, შავი, დანაცრული.

ტანითაც სხვადასხვა: მაღალი, მხარბეჭიანი, ფუნგარი, მტკიცე, მხრებში მოხრილი, გულმკერდ ოდნავ ჩაწეული, მხრებჩამოწეული... მაგრამ მათში მაინც არის რაღაც მსგავსება. მაინც არის რაღაც საერთო, და კიდევაც მიტომაა ისინი ასე ღიმილით რომ ხვდებიან ერთმანეთს.

ზერუასთან ახალგაზრდა ბიჭი მივიდა.

შავლაქებივით მოსჩანდა მისი ძვალმსხვილი თვალის უპეები.

— კაცო, სად არის თანდილა?

— მოვა ალბათ!

— ის თითქმის ყოველთვის ასე იქცევა!

— დაიცა ამხანაგო!—შეაჩერა ზერუამ,— ჩვენს ყველაფერს გამოვ-არკვევთ!

— რას ფიცხობ ბიჭო!—მიმართა მეორემ.

— როგორ თუ რას?! ორგანიზაცია, დისციპლინა.

— ძმაო, რასაც იმუშავებს, იმას მიიღებს!

— არ მოვა და არაფერი დაეწერება!

შენობიდან გამოვიდა ზერუა. გამოყვნენ გლეხებიც.

მზე უფრო და უფრო ათბობდა მიწას.

ხურდებოდა შენობის ქვიტკირის კედლები.

ლავვარდები იყო დაწმენდილი, სუფთა, გამჭვირვალე.

შეგვიანებით მოვიდა თანდილა.

ის თავს დამნაშავეთ სცნობდა.

ყველა თავის დროზე გამოცხადდა და მან რატომღაც დაიგვიანა.

მან თავის მართლება დაიწყო.

— თავი მტკიოდა, არა ვარ კარგად.

ზერუა ერთხანს უყურებდა ჩუმათ.

ის გრძნობდა ზერუას თვალების ჯიუტ შემოიდგას ყველაზე უფრო მწვავედ. სხეულში რაღაც ჩხვლეტავდა. • თვალებით მიწას ჩასცქეროდა.

— არ ვარგა ასე! არ ვარგა!

უსაყვედუროთ ბოლოს ზერუამ და მერე სხვებს მიმართა:

— წავიდეთ...

და ყველანი ერთად გაემართენ სამუშაოთ.

* * *

იყო სოფელი. მოხაცენდილი (ჰა. ატალახებული სოფლის გზები. ხოდაბუნი. მხურვალე მზე. ფიროზის ლაჟვარდები. მხიარული სახეები მომუშავეთა.

სამჭედლოს წინ ეყ რა შესაკეთებელი გუთნები.

გუთნები მოჰქონდათ სოფლიდან. (ზოგი) დაჟანგული, (ხშირად) პარუვარგი.

ალიონიდან ისმოდა გრდემლზე დარტყმა, გრდემლიდან სცვივოდენ ნაპერწკლები, იჭედებოდა გავარვარებული რკინა. კეთდებოდა გუთნები.

— სასყიდელი?!

— არაფერი!

— ბოი, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი!

თვალებაბრწყინებული გლეხი ეტყოდა მათ.

— ასეთია ჭალაქის ხელი. მოვედით გეხმარებით!

ასე—გრდემლზე გავარვარებულ რკინას ჭედავში, რამოდენიმე ნებისყოფით, ხელი-ხელ, მხარ და მხარ, გულ და გულ ინთებოდა სოფლის ალიონები.

სოფელი ჩვენთან—ჩვენ სოფელთან.

ასე იწყება, ასე ინთება ცივ განთიადებში სოფლის ალიონები.

მიდიხარ ახალი სამჭედლოსთან: ქშინავს ქური, უბერავს საბერველი.

— ძმაო, ძახილი!

— ძმის ნაზიდი!

— ძმის ჭედვა!

— და ყოველივე ეს ისე, როგორც გულის ცემა.

და მიცვებიან ერთმანეთს რიგ რიგად სამუშაოდ გამზადებული გუთნები.

ჩვენებურ წყნარ მინდორ ველზე, გა... დუთნის დიდის გამამხნევებელი ნაწყვეტ ძახილები...

მეხრეების შოლტის მოქნევა და დაჭყივლება.

— თი, როგორ მიდიხარ!!!

— შეე!!!!

სოფელი გავიდა სამუშაოთ.

გუთნეულებით დასერილი მთელი მიწები. სახნავი მიწები.

იქვე, გუთნეულების იქით, გაისმის გუგუნი. გუგუნი თან და თან იკარგება. იზრდება ისევ ამწევე კვამლს. ქრება კვამლი და გუგუნიც თან და თან გზორდება.

მიიწევს სადღაც — იჭმალება ისევ.

გადის დრო.

გუგუნი ისევ ახლოვდება. ეს კოლექტივის მიერ ახლად შეძენილი ტრაქტორია.

მარცხნიდან ნაფცაბედავი კისკისი შემოგესმა.

მიეიხედეთ.

ქალების ჯგუფი სამუშაოდ გამოსულა. ისინი ხეხილებს ფხეკავენ, რამოდენიმე დღის შემდეგ მათი შეწამვლა უნდა დაიწყონ.

ზოგს სიცილი კიდევ არ ჰქონდა შეკავებული, როცა ახლოს მივედით.

მასულისთანავე ახალგაზრდა გოგონამ ხელი კაბაზე იტაკა და მეორე ჯგუფისკენ გაიქცა.

მის წასვლასთან ერთად ისევ ატყდა ხარხარი.

(დღესაც არ ვიცით, თუ რატომ იცინოდენ).

— ვინაა თქვენი ათმეთაური?! — ვკითხე ქიტესამ.

— აი ის!

გაიშვირა ხელი მარჯვნივ, — ჩვენ დავაკვირდით. მართა.

— კარგია ჩვენ მუშაობას რომ ... (კ)ითხულობთ! თორემ არც ქალებს შესძლებიათ მამაკაცებზე საქმები! — წაილაპარაკა მართამ.

აქ მე შევხვდი რაიკოლმეურნეობის კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს გიგლა კაპანაძეს. ამერიკიდან ალექსი ბერიკაძის და გორის ოლქის განათლების განყოფილების გამგე კალე შერომბიას...

გიგლა პირადაც იცნობდა ქალებს, თუ რა სამუშაოები როგორ გაეკეთებინათ.

ერთმა ქალმა მიეიდა გიგლასთან და საუბარი დაუწყო.

— რატომ ცდები, ჰა!!!

იმუშავე და ისე ილაპარაკე! — შენიშნა მას ქართამ

— მოისვენოს, რა იქნება! — შენიშნა ქიტესამ თავის მხრივ.

— მოსვენება ჩვენ თავის დროზე გვაქვს! თუ ასე დაიწყეთ რა გამოვიდა! — განაგრძო მართამ — მეორე ჯგუფი შეჯიბრებაში გვყავს გამოწვეული!

— იხ, ეს ჩინებულია!

ისინი ხალისიანათ მუშაობენ.

მათი თვალები — ღიმილია.

მათი სახეები — მხიარულება.

ის ქალი, რომელიც წელან გიგლას ელაპარაკებოდა და მართამ საუბარი შეაწყვეტინა — ებლა აღვილიდან იძახის.

— ჩვენ კაბა გვინდა! მუშაობისას გაგვიფუჭდა რაც გვქონდა.

მართა სწრაფად მოტრიალდა ამ სიტყვების გაგონებაზე და უთხრა:

— მელანო, ყველგან შენ კაბაზე გიძახი. აბა ჯერ რა გაგიკეთებია! რომ იმუშავებ, აიღებ ნაშრომს და კიდევაც იყიდი. ჩაიცვამ, დაიხურავ.

ის გაჩუმდა.

ამის შემდეგ ხმა არ ამოუღია. მუშაობდა ისე მუყაითად, როგორც სხვები.

მათი თვალები — ღიმილია.

მათი სახეები — მხიარულებაა.

ფავედით წინ.

ისევ მწკრივათ გაშენებული ხეხილები...

ისევ მომუშავე ქალების ჯგუფები.

მოსწრებული სიტყვები, კისკისი, მხიარულება, საერთო შრომა და საერთო ძალა.

**არჩილ ჩაჩიბაია.**

# რადიო სოფლად



რადიო-სადგური სოფ. საგარეჯოში.



რადიო გლეხის ოჯახში.

რადიო დღითი-დღე იჭრება ჩვენს სოფელში და იკავებს საპატიო ადგილს გლეხის ოჯახში. ამ რამოდენიმე ხნის წინად სოფელ საგარეჯოში (გარე-კახეთი) მოეწყო რადიო-სადგური. მრავალ გლეხის ოჯახში დადგმულია მიმღები აპარატები, რომლის საშუალებით გლეხობას შესაძლებლობა აქვს მოისმინოს მოხსენებები, კონცერტები და ახალ ცხოვრების ამბები.

სურათზე: საგარეჯოს რადიო სადგური, გლეხები ისმენენ მოხსენებას.

# ექვსთითიანი ადამიანები

ეს ძნელი დასაჯერებელი ამბავია, მაგრამ ესპანიაში, მადრიდის პროვინციაში, აღმოჩნდა ერთი პატარა მივარდნილი სოფელი, სადაც ყველას, ქალს, კაცს, ბავშს, ხელებზე ექვსი ან შვიდი თითი აქვთ. ამ სოფელს სერვერა ჰქვია, ერთი გერმანული ჟურნალის კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ იგი საგანგებოდ გამგზავრებულა ამ სოფელში, რათა ადგილობრივ დარწმუნებულიყო ამ არანორმალური მოვლენის არსებობაში. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა იქ მივედი, უქმე დღე იყო, მთელი სოფელი ეკლესიისაკენ მიეშურებოდა. ვისაც ხელზე დავხედე, თითქმის ყველას ექვსი ან შვიდი თითი აღმოაჩნდა, უმრავლეს შემთხვევაში მეექვსე თითი ცერთან არის შეზრდილი, მაგრამ ისეთებიც შემხვდა, რომელთაც მეექვსე თითი დამოუკიდებლად აქვთ განვითარებული და თავისუფლად მოძრაობს, შემდეგ სოფელი შემოვიარეთ და აქა იქ ნორმალური ხელებიც აღმოვაჩინეთ, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევა იყო, ერთ მოხუც გლეხს, ეამბო, წინათ ამ სოფელში ექვსთითიანი ადამიანები ნაკლები იყვნენ, რაც დრო გადის მათი რიცხვი მატულობსო. თუ ან დედას ან მამას ექვსი თითი აქვს, პირველი შვილი ხშირად ხუთთითიანი იბადება, მაგრამ შემდეგ ექვს ან შვიდ თითიანები მოდიანო. ამრიგად ნახევარი საუკუნის განმავლობაში თითქმის მთელი სოფელი, რომელიც დაახლოებით 150 სულისაგან შესდგება, არანორმალური გამხდარა.



ბავში სოფელ სერვერიდან, რომელსაც თვითეულ ხელზე აქვს ექვსი თანაბრად მოძრავი თითი.



ამგვარი მრავალთითებიანი ცოლქმარი სოფელ სევერაში იშვიათი შემთხვევა არ არის, ასზე მეტს ოჯახს ნახავთ, რომელთაც ხელზე აქვთ ექვ იდან შვიდ თითამდე.



სოფელ სევერაში (მადრიდის პროვინცია) ხშირად შეხვდებით ისეთ ადამიანებს, რომელთაც ხელზე აქვთ შვიდი მოძრავი თითი.



სამი წლის ბავში ექვსი თითით.

## „შვიდი დღე“
### (საქ. პროფსაბჭოს მოძრავი თეატრი)
პიესა 6 სურათად
დადგმა ჯ ა ვ ა შ ვ ი ლ ი ს

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მოძრავი თეატრი დაარსდა ამ ერთი წლის წინად. მასში გაერთიანდნენ ტრამვაის მუშები, რომლებიც მუშაობის დამთავრების შემდეგ მეცადინეობდნენ. თეატრმა შესძლო დიდი მუშაობის ჩატარება. მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, მან ამ ხნის განმავლობაში შესძლო ხუთი ახალი დადგმის მოცემა.

უკანასკნელი დადგმა „შვიდი დღე“ მომზადდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 9 წლის თავის აღსანიშნავად. პიესა თავისთავად ვერ არის ძლიერი. მასში არ არის საკსებით ამოწურული ის თემა, რომელიც ავტორს დაუსახავს. პიესაში მოცემულია შვიდი დღე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მენშევიკების გაქცევა საქართველოდან. აქ დაპირისპირებულია ორი ძმა ოთარი და გიორგი. პირველი ბოლშევიკი, რევოლუციონური ჯგუფის მეთაური, მეორე — მენშევიკური გვარდიის შტაბის უფროსი. გიორგის სახით გვევლინება მენშევიკური მთავრობა, რომელიც ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიოდა, და სწორედ ეს სისაძაგლე ვერ არის მოცემული მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. არის ცალკე ადგილები, რომლებიც სტოვებენ მაყურებელზე შთაბეჭდილებას, როგორიც მაგალითად გარე-კახელი გლეხისათვის საქონლის ჩამორთმევა, სცენა გვარდიის მთავარ შტაბში, ბათომის ყავახანა, სადაც შეკრებილან გასაქცევად მომზადებული „ხელისუფალნი“ და სხვ., მაგრამ ასეთი სცენები ძალიან მცირეა. კარგად არის გამოყვანილი ცალკე გვარდიელები და განსაკუთრებით ალისტრახო. საჭირო იყო პიესაში ნათლად ყოფილიყო მოცემული გვარდიელების ჰიერ ფრონტების დატოვების ნამდვილი მიზეზი. აქ მიზეზად მოყვანილია სურსათის ნაკლებობა, მაგრამ ეს არ ყოფილა მთავარი მიზეზი. მას უფრო სხვა სოციალური ფესვები ჰქონდა. ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს საფლავის გათხრის სცენა, რომელსაც ამზადებენ დასახვრეტად გამზადებულ ბოლშევიკებისათვის და ვაჭრულთა განთავისუფლება. მაგრამ მაინც ყოველივე ზემოაღნიშნულისა პიესა სუსტად უნდა ჩაითვალოს.

საერთოდ ეს პიესა არც ჩაითვლება მთლიან დრამატიულ ნაწარმოებად, ის უფრო ცალკე ამბებია, ქრონიკის სახით მოცემული.

რაც შეეხება დადგმას, პიესის გაფორმებას და აქტიორთა თამაშს, აქ თეატრს უეჭველი მიღწევები აქვს. კარგია ოთარის შემსრულებელი, რომელიც იძლევა მებრძოლ ბოლშევიკის დამაჯერებელ სახეს. კარგად არის მოცემული ავრეთვე გაიძვერა მენშევიკ გიორგის სახეც. რეჟისორმა შესძლო კარგად გამოეყო პიესის უფრო საინტერესო ადგილები. მიზანსცენები დამუშავებულია დიდი დაკვირვებით და ადგილის ეკონომიით. კარგია დეკორაციებიც.

თეატრის გამოყენებია კონსტრუქტივიზმი, მეტად მცირე ხაზებში მოცემულია მთელი პიესის გაფორმება. რეჟისორის გამოყენებია ერთი, მეტად საინტერესო ხერხი. მეხუთე და მეექვსე სურათი მიდის უანტრაქტოთ, ღია სცენაზე. სცენა წარმოადგენს მენშევიკების გაქცევას ბათომიდან. სიბნელეში ხდება დეკორაციების გამოცვლა. პროჟექტორების შუქში დარბის ხალხი, რომლებსაც გააქვთ დეკორაციები. იქმნება კი ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს არეულ-დარეულაში ხალხი ერთი-მეორეს ძარცვავს გაჰქცევს. აქ ტემპიური და მხატვრული მხარე გაერთიანებულია.

თეატრალი.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



თბილისის უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებისთვის შემოღებულია პრაქტიკული საწარმ.ოო მუშაობა.
სურათზე: საინჟენერო ფაკულტეტის სტუდენტები თბილისის დეპოში.



**წყალტუბო.** ახლად დამთავრებული საკურორტო სასტუმრო



კოლმეურნეობის გუთნეული ხნავს საგაზაფხულო ანეულს.



თბილისის მაუდის ქარხნის მუშები დაზგასთან სამუშაოზე.



ტყავეულების ყველა სამრეწველოებში დიდი ბრძოლა სწარმოებს პროდუქციის ღირსების გასაუმჯობესებლად.
სურათზე: ფუარგის ფეხსაცმელს მუშა ცარცით ნიშნებს ადებს.



აჭარაში ამშენებლობამ ფართო ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით მას შემდეგ როდესაც ბათომში აიგო ნავთის გადამქაჩავი ქარხნები.
სურათზე: ვაგონებიდან ტვირთავენ საამშენებლო იარაღებს.



საგარეჯოში გლეხებს ქათესლი ხორბალს ურიგებენ.



ბათომში აშენებენ ახალ მექან კურ ქარხანას.

163

# მიმდინარე წლის მარტში

# გამოვა

ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური

ჟ უ რ ნ ა ლ ი

# „ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი"

საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ორგანო

## ხელისმოწერა მიიღება

## თ ბ ი ლ ი ს შ ი:

„კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)

ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.

„კომუნისტი"-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითარებით.

## პროვინციაში:

ფოსტის უწყების ყველა დაწესებულებებში.

„კომუნისტი"-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზის კიოსკებში.

## ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 1930 წლის ბოლომდე | —2 მ. 50 კაპ. |
| 6 თვით . . . . . | —1 მ. 50 კაპ. |
| 3 თვით . . . . . | — 75 კაპ. |
| 1 თვით . . . . . | — 25 კაპ. |

ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ.

„კომუნუსტი"-ს გამომცემლობა.

მთავლ. № 816. ტირაჟი 6000. პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. გაზ. „კომუნისტი" ს გამომცემლობა.